Hence, economic globalization has transformed trade policy of developed as well as developing and transition countries. So, tendency of intensification of bilateral and regional and cross-regional trade agreements is clear feature of modern world economy. Neoliberal economic globalization intensifies regional integration, which in turn, stimulates economic globalization itself. Therefore, neoliberal economic globalization and regional integration are complementary, not substitute processes. As a result, economic globalization will promote intensification of regional integration groups and Regional Trade Agreements, taking into account the importance of geographic proximity and intensity of trade relations on the one hand, and unfeasibility of the creation of global institutions capable to regulate the global economy on the other hand.

4. Conclusions

Since 1990s neoliberal economic globalization has intensified regional integration processes, aiming at selective liberalization of foreign economic relations among countries. Considering recent proliferation of Regional Trade Agreements, which involves new countries, a growing trend of regional trade agreements will remain. In addition, sectors of economy covered by trade agreements will expand and therefore, “deep” trade agreements will prevail. In turn, increased number of RTAs alongside with the expanded area of economy, covered by these agreements, will support creation of new rules and procedures on multilateral level, extending to new areas, previously not covered by WTO or other international organizations. Hence, the economic globalization and regional integration are closely interrelated and complementary, not opposite processes, which reinforce each other and will lead towards more globalized economy, rather than fragmented on regional level world economy.

References

1. Bhagwati J. 2004. In defense of globalization, Oxford University Press.
2. Di Mauro, F. Dees S. and McKibbin W. J. (eds). 2008. Globalisation, regionalism and economic interdependence. Cambridge: Cambridge University Press.
3. Commission of the European Communities. (2006). Communication on “Global Europe: Competing in the World.” COM (2006) 567, Brussels.
4. Eteria E. 2009. Globalization and National Economy: Theory and Policy. Tbilisi, “Universali” (In Georgian)
5. Fiorentino R. V., Verdeja L., Toqueboeuf C. 2007. The Changing Landscape of Regional Trade Agreements: 2006 Update, Discussion Paper No. 12, WTO, Geneva.
6. Frieden, J. A. 2006. Global Capitalism: Its Fall and Rise in the Twentieth Century. New York: W. W. Norton & Co.
7. Friedman T. L. 2007. The World is Flat: a Brief History of the Twenty-first Century. Picador.
8. Higgott, R. 1998. The international political economy of regionalism: the Asia-Pacific and Europe compared. In W. D. Coleman and G. R. D. Underhill (eds.), Regionalism and global economic integration: Europe, Asia and the Americas, New York. Routledge
9. Hirst P.Q., Thompson G. 1999. Globalization in question: the international economy and the possibilities of governance. Cambridge: Polity Press; Malden, MA: Blackwell Publishers.
10. International Monetary Fund (IMF). 2008. Globalization: A Brief Overview. May, 2008

11. Martell L. 2007. “The Third Wave in Globalization Theory.” International Studies Review, 9, pp. 173-196
12. Rodrik D. 2011. The globalization paradox : democracy and the future of the world economy. New York; London: W. W. Norton & Co.
13. Stiglitz, J. E. 2003. Globalization and its Discontents. New York: W. W. Norton & Co.
14. Stiglitz, J. E. 2007. Making Globalization work. New York: W. W. Norton & Co.
15. Scholte J. A. 2005. Globalization: A Critical Introduction. Palgrave Macmillan;
16. Wolf M. 2005. Why Globalization Works. Yale University Press; 2nd edition
17. World Trade Organization (WTO). 2011. World Trade Report: The WTO and preferential trade agreements: From co-existence to coherence.
18. World Trade Organization (WTO). 1998. Trade Policy Review, Japan, Report by Secretariat, WT/TPR/S/32
19. World Trade Organization (WTO). 2000. Trade Policy Review, Japan, Report by Secretariat, WT/TPR/S/76
20. World Trade Organization (WTO). 2004. Trade Policy Review, Japan, Report by Secretariat, WT/TPR/S/142
21. World Trade Organization (WTO). 2017. Trade Policy Review, Japan, Report by Secretariat, WT/TPR/S/351/Rev.1
22. Woolcock, S. Barfield, C. MacLaren, D. and Koopmann, G. 2007. Competing regionalism - patterns, economic impact and implications for the multilateral trading system. Intereconomics 42, (5), pp. 236-259.

ემირ ეთერია

ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ეკონომიკური გლობალიზაცია და რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები:
თანამედროვე ტენდენციები**

გრძელი რეზიუმე

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ეკონომიკის გლობალიზაცია ცალკეული ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეკონომიკის გლობალიზაციის მრავალი დეფინიცია არსებობს, თუმცა, ყველა მათგანში ხაზგასმულია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის საფუძველზე ეროვნულ ეკონომიკებს შორის მზარდი ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა.

ეკონომიკის გლობალიზაციის პარალელურად ინტენსიურად ვითარდება ქვეყნებს შორის თანამშრომლობა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების საფუძველზე, რომელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. აღნიშნული სავაჭრო შეთანხმებების მიზანია ვაჭრობის უფრო მეტი ლიბერალიზაცია, ვიდრე ეს მიღწეულია მრავალმხრივ დონეზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში. რეგიონული სავაჭრო შეთანხმება შეიძლება იყოს როგორც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ასევე შეთანხმება საბაჟო კავშირის ან ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების ძირითადი ნაწილს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სახელწოდებისა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები არ იფარგლება მსოფლიოს ცალკეული რეგიონით და აღნიშნული

შეთანხმებები შესაძლოა გაფორმდეს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ და რეგიონთაშორის დონეზე.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 1990 წელს ძალაში იყო მხოლოდ 19 რეგიონული სავაჭრო შეთანხმება, მაშინ როცა 2018 წელს აღნიშნული შეთანხმებების რიცხვმა 291-ს მიაღწია. რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების მზარდი დინამიკა ძირითადად განპირობებულია ორი მიზეზით. პირველ მიზეზს გლობალურ დონეზე ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ წესებზე შეთანხმების მიღწევის სირთულე წარმოადგენს, ხოლო მეორეს, ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, ასევე, არსებული ეკონომიკური თანამშრომლობა ან პოტენციურად მზარდი ეკონომიკური ურთიერთობები.

რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები მოიცავს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2018 წლისთვის ყველაზე მეტი რეგიონული სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირს აქვს გაფორმებული (40 სავაჭრო შეთანხმება).

ბოლო წლებში, სავაჭრო შეთანხმებების რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად შეიცვალა აღნიშნული შეთანხმებების შინაარსი. სავაჭრო შეთანხმებები, განსაკუთრებით ევროკავშირისა და აშშ-ს მონაწილეობით, ითვალისწინებს ქვეყნებს შორის უფრო „დრმა“ ინტეგრაციის მიღწევას და მოიცავს ეკონომიკის სფეროების უფრო ფართე სპექტრს (მომსახურება, ინვესტიციები, კონკურენცია და ა.შ.), ვიდრე ეგრეთ წოდებული „მარტივი“ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები.

ნათელია, რომ რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები წარმოადგენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის უფრო ეფექტიან მექანიზმს, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებშიც არ არსებობს გლობალურ დონეზე შეთანხმებული წესები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის ფარგლებში.

ეკონომიკური გლობალიზაცია რეგიონული სავაჭრო ურთიერთობების და ზოგადად, ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს და გლობალიზაცია, სწორედ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით ვითარდება. შესაბამისად, ეკონომიკის გლობალიზაცია და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ და ამავე დროულად, ურთიერთშემავსებელ პროცესებს წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა – AGRICULTURAL ECONOMY

ნინო რუხაია-მოსემფელი შვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

კონკურენტუნარიანობისა და შემოსავლიანობის ამაღლების გზები
ქართულ აბრარულ ნიჟარში

სტატია მომზადებულია სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის
ახალგაზრდული გრანტის №2016-23 ფარგლებში.

რეზიუმე. სტატიაში მოცემულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები საქართველოს აბრარულ სექტორში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად-შევისწავლეთ მცირე და საშუალო ფერმერების განწყობა ფერმერული გაერთიანებების, კოოპერატივების, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მხარდაჭერი პროგრამებისა და განვითარების პრობლემების შესახებ. ნაშრომში აღწერილია, როგორ აღიქვამენ ფერმერები ზემოაღნიშნულ ინიციატივებს. ბოლოს წარმოდგენილია ჩვენი აზრით აუცილებელ ღონისძიებათ ნუსხა, რაც გამოიწვევს აბრარული სექტორის სწრაფ განვითარებას, ფერმერთა ჩართულობის ამაღლებას და მკვეთრად გაზრდის რეგიონში მცხოვრებთა შემოსავლებს, შეამცირებს ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვს და გამოათავისუფლებს საბიუჯეტო სახსრებს ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად სტიმულირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბიო-წარმოება, კოოპერატივი, აგრო-ექსპორტი

შესავალი

ექსპორტის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში არავისთვის სადაო არ არის, ვფიქრობთ, ნებისმიერი ქართველი ეკონომისტისათვის შემაშფოთებელია საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს მზარდი უარყოფითი სალდო. შედარებით უპირატესობის მიხედვით საქართველოს შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მიხედვით [1, გვ 6]. მაგრამ დღეისათვის აგროსასურსათო სექტორში პროდუქტების უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია [2] და მწარმოებელთა 62%-ის აზრით, ამ სექტორში კონკურენციის გაწევა რთულია [3, გვ 103]. ამავე დროს, ევროპისა და აზიის ქვეყნებში საკმაოდ მაღალკონკურენტული სასურსათო ბაზრები ფუნქციონირებს. ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნისთვის, ასევე მწარმოებლისთვის მთავარი ამოცანაა ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქტის მიწოდება [4, გვ1]. რამდენადაც ყველაზე ეფექტიანი მოდელების განვითარებისთვისაც კი, აუცილებელია არსებობდეს ძალა, რომელსაც სურს ამ გეგმაში მონაწილეობა და მისი განხორციელება, გამოვიკვლიეთ ქართველი ფერმერების განწყობები და შეხედულებები აბრარული სფეროს პრობლემებზე, კოოპერაციასა და ექსპორტის შესაძლებლობებზე. ჩამოვყალიბეთ შემდეგი ქვეამოცანები: (კვლევის მიზანი):

1. დარგის ძირითადი სამუშაო ძალის - სოფლად და რეგიონებში მცხოვრების გლეხებისა და ფერმერების კვლევა. მათი განწყობების და შეხედულებების ანალიზი. ამ კვლევამ მოგვცა ინფორმაცია რეგიონებში მოსახლეობის განწყობის შესახებ, უკვე განხორციელებულ პროექტებზე მათი შეხედულებების, ძლიერი და სუსტი მხარეების, სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სტიმულატორების და დამაბრკოლებელი ფაქტორების შესახებ. გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფზე გამოვლინდა ახალი ტიპის სირთულეები და შესაძლებლობები;

2. მთავრობის მიერ უახლოეს წარსულში განხორციელებული აგრარული პროექტების შედეგების გამოკვლევა. ძირითადი სირთულეებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა.

აღნიშნული საკითხის შესახებ ფაქტობრივად აქამდე არ განხორციელებულა ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა. ამ კვლევის შედეგად მივიღეთ ძალიან ფასეული ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად ეფექტიანად რეაგირებს საზოგადოება და ფერმერები მთავრობის ინიციატივებზე, პროექტების რომელი კომპონენტი იყო უფრო ეფექტიანი და რამდენად იყო ის გამოყენებადი ქართულ რეალობაში.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ მარკეტინგული კვლევის მეთოდები:

- რეგიონებში ფერმერების გამოკითხვისათვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის ინტერვიუების მეთოდი. თითოეულ რეგიონში შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 10-10 ფერმერი/გლეხი.
- ჩატარდა 5 ჩადრმავებული ინტერვიუ ფერმერთა გაერთიანებების წარმომადგენლებთან.
- დავამუშავეთ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული არაერთი სტატია, ფერმერთა ბლოგები, ჯგუფური დისკუსიები და ა.შ.
- ჩავატარეთ ფოკუს-ჯგუფი, სადაც მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა აგროპროდუქტების მწარმოებელი 80-მდე ბიოფერმერი. განვიხილეთ კონკრეტულად ამ მიმართულების ძლიერი და სუსტი მხარეები, ექსპორტის მიმართ დაინტერესება, სახელმწიფო პროგრამების მნიშვნელობა და სხვა პრობლემური საკითხები.

კვლევის ძირითადი მიზნები

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ტენდენცია: დღესდღეობით აგრარულ სექტორში წვრილი და ნაწილობრივ საშუალო (დაახლოებით 5-10 კაცს ასაქმებენ სეზონურად) ფერმერები არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ რეგიონში და მამა-პაპის მიწებს ამუშავენ (46%) ან ცხოვრობენ დედაქალაქში და ცდილობენ რეგიონში ააწონ აგრობიზნესი(34%). მხოლოდ 15%--ია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ და დაქირავებულ მუშა-ხელს ან მიწას იყენებენ. მკვეთრად განსხვავდება ამ სეგმენტების მიდგომაც ისეთი ფუნდამენტური საკითხების მიმართ, როგორცაა ახალი ცოდნის შექმნა, სახელმწიფოს დახმარება და ა.შ.


ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც მამა-პაპის მიწებს ამუშავენ, არ ცდილობენ მოწვეული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას (უფრო ხშირად დაფიქსირდა პასუხი, „ესაა რის მოყვანასაც ვახერხებ“), არ არიან დაინტერესებული ექსპორტით ან მიანინათ რომ ეს ფუფუნებაა, რომელსაც „ვერ შესწვდებიან“, ყველაზე კარგ შემთხვევაში კი უნდათ, რომ ტურისტებს მიჰყიდონ თავიანთი საქონელი. ამბობენ, რომ მათთვის ცნობილია სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების და იაფიანი აგრო-კრედიტის შესახებ, თუმცა უმეტესობას არ უსარგებლია. ამის მიუხედავად, კითხვაზე „თქვენი აზრით, როგორ უნდა დაგეხმაროთ სახელმწიფო ისე, რომ თქვენი ფერმა წარმატებულ ბიზნესად იქცეს?“ გვპასუხობდნენ, რომ უნდა გაუწიონ სუბსიდირება, დაეხმაროს სახელმწიფო მოწვეული პროდუქციის ჩაბარებაში. შეზღუდოს პროდუქციის იმპორტი თურქეთიდან ან დაუწესოს გადასახადები ფასის გასათანაბრებლად და ა.შ.

სრულიად განსხვავებული სურათია იმ ადამიანების პასუხებში, რომლებიც თბილისიდან რეგიონებში ეწვეიან აგრარულ ბიზნესს (რაც ალბათ ლოგიკურიცაა.

ამ ადამიანებმა წინასწარი გათვლით და გაცნობიერებულად დაიწყეს აგრარული ბიზნესი და ცხადია, მეტად „კომერციული“ დამოკიდებულება აქვთ საქმის მიმართ).


კითხვაზე, „როგორ შეაფასებდით თქვენს მიერ წარმოებულ პროდუქციას“, პასუხები ასე გადანაწილდა(იხ. დიაგრამა 1):

დიაგრამა 1




მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათმა უმეტესობამ ბიზნესი არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო (იხ. დიაგრამა 2):

დიაგრამა 2



შესაბამისად, ბევრ მათგანს ჯერ მოგება არც კი მიუღია, მაგრამ მაინც თვლის, რომ წარმატებას მიაღწევს. თავისი საქმიანობა მათ თავად ასე შეაფასეს (დიაგრამა 3):

დიაგრამა 3




როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა არც თუ მცირე ნაწილი - 21% აწარმოებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის, რამდენადაც მისთვის საჭირო, უსაფრთხო პროდუქტი უბრალოდ არაა ბაზარზე. დიდია იმ ადამიანთა რიცხვიც(27%), რომლებიც თვლიან, რომ აგრარული წარმოება იმდენად მცირე მოგებას უტოვებს, რომ არ აძლევს ღირსეულად ცხოვრების საშუალებას, ამიტომ აქვთ სხვა, დამატებითი შემოსავალიც. მხოლოდ 20%-მდეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც წარმატებული აგრობიზნესი აქვთ და იღებენ სტაბილურ, ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო შემოსავალს ამ ბიზნესისგან.

კიდევ ერთი ტენდენციაა ის, რომ თითქმის ყველა კითხვარში დაფიქსირდა რამოდენიმე პასუხი კითხვაზე „აგრარული სექტორის რომელ დარგში მოღვაწეობთ“. როგორც ჩანს, ადამიანები მინიმუმ 2-3 დარგის კომბინირებულად მოვლას ცდილობენ.

ჩვენთვის მოულოდნელი იყო კოოპერატივების შესახებ კითხვებზე მიღებული პასუხები: კითხვაზე „ხართ თუ არა გაწევრიანებული კოოპერატივში?“ პასუხები ასე გადანაწილდა(იხ. დიაგრამა 4):

დიაგრამა 4



მკვეთრად უარყოფითია იმ ადამიანების პოზიციაც, ვინც უკვე არიან კოოპერატივის წევრები. ისინი აღნიშნავენ, რომ კოოპერატივში გაწევრიანებამ არ გაუადვილა რეალიზაციის პროცესი, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა მათთვის. დაახლოებით 10% თვლის, რომ მხოლოდ წარმოების პროცესი გააადვილა კოოპერატივმა. აბსოლუტური უმრავლესობა, 56% კი მიიჩნევს, რომ დიდი განსხვავება არაა და მათთვის არაფრისმომცემია კოოპერატივი.

ვფიქრობთ, ბევრის მანიშნებელია ის ფაქტიც, რომ გამოითხულთა 80%-ს სმენია და იცნობს სახელმწიფო პროგრამებს. მათგან ყველაზე ხშირად დასახელებულია:

- „აწარმოე საქართველოში“,
- „დანერგე მომავალი“
- იაფი აგროკრედიტი
- კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა

თითქმის არავის დაუსახელებია „აგროდაზღვევის პროგრამა“, მაგრამ აშკარაა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კარგად იცნობს მას. კითხვაზე „იცით თუ არა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის შესახებ?“ პასუხები ასე გამოიყურება(იხ. დიაგრამა 5):

დიაგრამა 5




მხოლოდ 9%-ია კმაყოფილი დაზღვევით. დანარჩენები ან ვერ ინაზღაურებენ, ან იციან, რომ მეზობელმა ვერ აინაზღაურა, ან უბრალოდ თვლიან, რომ არ სჭირდებათ დაზღვევა.

ანალოგიური მდგომარეობაა პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ირგვლივ. 44% მიიღო მონაწილეობა და ვერ მოიპოვა დაფინანსება, 27%-მა „იცის რომ აზრი არ აქვს“ და ამიტომ არ შეაქვს პროექტი. 16% ფიქრობს, რომ შეიძლება ცდა, მაგრამ არ სცალია ამ ეტაპზე და მხოლოდ 7% კმაყოფილი აღნიშნული პროგრამით.

კვლევის ერთ-ერთი მიმართულება იყო ექსპორტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. კითხვაზე „ხართ თუ არა დაინტერესებული ექსპორტით“, პასუხები ასე გადანაწილდა(იხ. დიაგრამა 6):


დიაგრამა 6



როგორც სურათზეც ჩანს, ჩვენს რესპონდენტებში არ აღმოჩნდა არცერთი ექსპორტიორი, მეტიც-დაახლოებით 30% სხვადასხვა მიზეზით არაა დაინტერესებული ექსპორტით. 40% სურს თავისი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა, მაგრამ სხვადასხვა გარემოებების გამო ვერ ახერხებს ექსპორტირებას და მხოლოდ 30% აცხადებს, რომ დაინტერესებულია და ემზადება საექსპორტოდ.

მათთვის, ვინც დაინტერესებულია და ვერ ახერხებს ექსპორტირებას, ხელისშემშლელი ფაქტორები ასეთია (იხ. დიაგრამა 7):

დიაგრამა 7



დასკვნა

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, დღეს მცირე და საშუალო ფერმერები არ არიან მზად ჩაერთონ და ეფექტიანად გამოიყენონ სახელმწიფო ინიციატივები, საგრანტო პროექტები და სხვა აქტივობები. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა დღემდე არსებული მხარდამჭერი პროექტით სარგებლობენ საშუალო და მსხვილი ფერმერები. ანუ ისინი, ვისაც ჰქონდა გარკვეული ბუზნეს-საქმიანობა და მათი გაფართოება სურდათ. თეორიულად, ეს სულაც არაა ცუდი და შესაძლოა, ერთი მხრივ კარგიც იყოს, მაგრამ რეალური შედეგის მიღწევა, მხოლოდ მასშტაბის ეფექტითაა შესაძლებელი და ამისათვის საჭიროა ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწები სრულად ჩაერთოს წარმოებაში. ამიტომ ვფიქრობთ, გასაუმჯობესებელია კომუნიკაცია წვრილ და საშუალო ფერმერებთან, რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან და აგრომწარმოებლებთან. იმისთვის, რომ ეს ადამიანები მასობრივად ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, მათ სჭირდებათ:

- მეტი ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე.
- არა ზოგადი ტრენინგები ბიზნესგეგმის წერის ტექნიკაზე, არამედ რეალურად „საქმეში ჩახედული“ კონსულტანტები, რათა დაეხმარონ მათ იურიდიული ფორმის შერჩევაში, წარმოების დაგეგმვაში (აგრარული კონსულტანტი) და სხვა.

გარდა ამისა, ჩვენს მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ხარვეზი- სახელმწიფოს მიერ ინიცირებული სხვადასხვა პროექტები, რომლებსაც რეალურად ერთი და იგივე მიზნობრივი სეგმენტი ყავთ, მოითხოვენ განსხვავებული იურიდიული ფორმით რეგისტრაციას. რაც კიდევ უფრო მეტ დაბნეულობას იწვევს გლეხებში და აძლიერებს მათ გაუცხოებას საერთო ინიციატივებისგან.

აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა მელიორაციის და აგრო-სპეციალისტების პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენს კვლევაშიც ყველზე დასახელებადი და მნიშვნელოვანი პრობლემები იყო: აგროტექნიკა, მელიორაცია და სპეციალისტების არარსებობა.

აუცილებელია ფერმერები დავარწმუნოთ კოოპერირების აუცილებლობაში და აგრეთვე დასახვეწია გაერთიანებების ფორმები და საშუალებები.

ყველაზე მთავარია, მოხდეს საქართველოში შხამ-ქიმიკატებისა და პესტიციდების მოხმარების კონტროლი და ქვეყნის განვითარების გზად ავირჩიოთ მაღალხარისხიანი ბიო(ორგანული) პროდუქტების წარმოება, რომლის ექსპორტირებასაც მოვახდენთ ევროპულ ბაზარზე. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ევროკავშირში პროდუქციის დღესვე ექსპორტირება, ამის დასტურია ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები და სწორედ ამიტომაც აუცილებელი ევროპული სტანდარტების შესაბამისი, მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების განვითარება. ევროპელი მომხმარებელი გარკვეულია პროდუქციის ხარისხის სტანდარტებში და ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტად იზრდება ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებზე მოთხოვნა. ეს კი არც თუ ისე სწრაფად ათვისებადი ბაზარია, რადგან სუფთა პროდუქციის მოყვანის რესურსი შეზღუდულია. რაც, ჩვენი აზრით, კონკურენტული უპირატესობა შეიძლება გახდეს საქართველოსათვის. ჩვენ დღესვე ვერ შევძლებთ პროდუქციის ექსპორტირებას ევროპაში, მაგრამ სწორი აგრარული და საექსპორტო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ეს საკვებით რეალური, სტაბილური და მომგებიანი ნიშა იქნება ქართული პროდუქტისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები გარემოს დაცვის კუთხით, (განსაკუთრებით პრობლემურია სარწყავი წყლის დაბინძურების საკითხი); უნდა მოხდეს ორგანული მწარმოებლების

წახალისება. მწარმოებელი ყოველთვის მოწადინებულია, მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი და საკუთარი შრომით ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობა. იგი უარს არც საკანონმდებლო დონეზე დაცვისგან იტყვის, თუ მის კონკურენტებს ხელოვნურად შეზღუდავენ, მაგრამ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, მომხმარებელთა ინტერესები და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, პირიქით, ფართო და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების გატარების აუცილებლობის წინაშე აყენებს მთავრობას. თუმცა, ევროპის აგრარული პოლიტიკის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ საწყის ეტაპზე გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე რეცესირებული დარგის განვითარების და საბაზრო, კონკურენტუნარიან მწარმოებლად გარდაქმნის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ არსებობს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია იმ “ოქროს შუალედის” პოვნა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ადგილობრივი წარმოების სტიმულირება და ფერმერთა ინტერესების დაცვა საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით და უცხოელ პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულებების პირობების თანახმად.

ნებისმიერი ეკონომიკისათვის აგროწარმოების განვითარება უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ექსპორტის სტიმულირებისათვის და უარყოფითი საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის დაძლევისათვის, ვფიქრობთ, აუცილებლად მოხდეს არა მხოლოდ ნედლეულის, არამედ უკვე გადამამუშავებული პროდუქციის ექსპორტირება. ნედლეულის არსებობა თავისთავად ქმნის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო ნიადაგს, მაგრამ საწყის ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ისეთ საკითხებში, როგორცაა ნედლეულის ფასი: მწარმოებელს სურს იაფი ნედლეულის მოპოვება, ფერმერს კი ისეთი შემოსავლის მიღება, რომ ღირსეულად ცხოვრება შეძლოს. სწორედ ამ შემთხვევაშია აუცილებელი სახელმწიფო სუბსიდირება. გონივრულ მინიმუმამდე თანხის შევსება. ეს, ერთი მხრივ, გამოიწვევს წარმოების მოცულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, ფერმერების სტიმულირებას წარმოების გაფართოებისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ.

ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობებისათვის ფერმერის ფულადი კომპენსაციით, პესტიციდებისა და ქიმიური სასუქების გამოყენებლობისათვის პრემიების დაწესებითა და, რაც მთავარია, მოწვეულ ნედლეულზე მაღალი სუბსიდირებული ფასის დაწესებით. სუბსიდირებული ფასი უნდა დაწესდეს იმ პროდუქტებზე, რომლებსაც გააჩნიათ საექსპორტო პოტენციალი. გადაწყვეტილება ფასის დაწესების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს სპეციალური კვლევების და ასოციაციების მოთხოვნის საფუძველზე. გარდა ამისა, ფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ გადამამუშავებელ საწარმოში ნედლეულის ჩაბარებისას. ბაზარზე გასაყიდი ფასის ფორმირება უნდა მოხდეს საბაზრო კანონების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის განხორციელება უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, გამოიწვევს დარგში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მკვეთრ ინტენსიფიკაციას. ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელია სახელმწიფო დაეხმაროს კერძო სექტორს წმინდა მარკეტინგული კუთხითაც და მის ხელთ არსებული ყველა არხის და რესურსის გამოყენებით მოახდინოს საქართველოს, როგორც მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქტის მწარმოებელი ქვეყნის, პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება საექსპორტო პროდუქციის ხარისხის მკაცრი კონტროლი და ადგილწარმოშობის ფალსიფიკაციისაგან კომპანიების დაცვა. საბოლოოდ კი ეს ღონისძიებები გამოიწვევს აგრარული სექტორის სწრაფ განვითარებას, ფერმერთა ჩართულობის ამაღლებას და მკვეთრად გაზრდის რეგიონში მცხოვრებთა შემოსავლებს,

რაც შეამცირებს ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვს და გამოათავისუფლებს საბიუჯეტო სახსრებს ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად სტიმულირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ხარაიშვილი. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2011
2. ე. ხარაიშვილი, ფ. მამარდაშვილი, საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა“, მაისი, 2009.
3. მეწარმის სამაგიდო წიგნი, მეწარმეობის მხარდამჭერი საერთაშორისო ცენტრი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევა, თბილისი, 2008, გვ.
4. განვითარების სტრატეგიები“
https://www.researchgate.net/profile/Eteri_Kharaishvili/publication/301204785_Competitive_Ability_of_Georgian_Hazelnut_and_Strategies_of_Production_Ability/links/570c950a08ae8883a1fff126/Competitive-Ability-of-Georgian-Hazelnut-and-Strategies-of-Production-Ability
5. The Ways of Increasing Profitability and Competitiveness of Farming in The Caucasus Region on Example of Georgia Republic
<http://www.globalacademicinstitute.com/wp-content/uploads/2017-prague-conference-proceedings.pdf>
6. Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili. "How to sell"-Opportunity for small farmers to global market. International Academic Conference on Management, Economics, Business and Marketing, Vienna, Austria
https://books.google.ge/books?id=K4M_DwAAQBAJ&printsec=frontcover&dq=iac+proceedings+2017&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjnrDOWfzeAhVDYVAKHdzwAYYQ6AEISzAF#v=onepage&q=iac%20proceedings%202017&f=false

Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili

Academic Doctor of Economics

STRENGTHENING COMPETITIVENESS AND INCOME IN THE GEORGIAN AGRARIAN SECTOR

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) YS-2016-23 Young Scientists Research Grant

Expanded Summary

In this paper we discuss ways of cooperation in agrarian sector and its role in developing the field and stimulating export. During last year, using secondary and empirical studies, we have studied difficulties in Georgian agrarian sector, corresponding problems and different ways of their solution proposed to government by scientists.

Regarding the purposes for the study, the following tasks have been outlined:

1. The survey of main workforce- peasants and farmers in field and rural areas, their attitudes and opinions analysis. This study gave us the information about the mood of population, analysis of their problems assisted us in determining the principle messages of PR campaign while economic policy formation. In addition, it is possible to identify a new type of challenges and opportunities; Research trips in regions were continued throughout whole period of the study, and included all reachable regions.

2. Studing results of recently implemented governmental projects. Detecting their main difficulties and problems.. There hasn't been any scientific research about those topics before. This research provided many valuable information about how effectively do society and farmers react to government initiatives, which components of those projects were more effective and what was more realistic to be used in today's Georgian reality.

Within the scope of the study, with random survey farmers were interviewed in all reachable regions of Georgia.

There are the major findings of the study:

- People in regions, who have no connection with internet, think, that they have enough knowledge to harvest, but government don't helps them to sell the product. They don't have enough information about support programs and do not use them. Don't see the importance of the new technologies and as a rule, they are harvesting the ancestral land.

- Respondents, who answered by internet are more interested in new technologies, new knowledge. They are interested in export of their product. Are not asking for government subsidiaries. They have good information about governmental support programs, are using them and have their experience about them.

- Cooperation system does not work in Georgia, because there are not enough interested people. Also, there are a lot of people, who got into one, but they did not get any profit from it.

As the research shows, most part of the people, who are involved in agrarian business and fill themselves as farmers and are working for profit, are persons from Tbilisi (or at least live there last few years). They do farming from distance. They have other job and in non-working hours taking care for their agrarian business. This segment of our respondents was more look like independent business man. They say, they don't need some special subsidiary from government but they are ready and want to study new technologies and will be happy if government will cover their expenses in this case. But it is important, that they also are not a part of agricultural cooperatives. And, if they are, they are not satisfied with the results of their cooperation. Results show that the government program in populating cooperation in agricultural field was not successful. Besides, there are few cooperatives, which are working and receiving profits.

Another interesting case is using modern technologies and web for their business: The most part of the little farmers are using internet for extending their knowledge and find new contacts in their business. And as research shows, it is their only way for it. Based on the above, little farmers are not even interested on exporting their products and even they don't care about the quality of their products.

As the survey results show, small and medium farmers are not ready to engage and effectively use state initiatives, grants projects and other activities. This is confirmed by the fact that all existing projects which enjoy support, belong to farmers who have already had their own businesses and wanted to expand. Theoretically, on the one hand, it is not as bad, probably good; however, real outcome can be achieved only with the large scale effect; therefore, all mini-agricultural lands should be involved in agricultural production Therefore, we think that communication with small and medium-sized farmers, people living in the regions and agro-producers must be improved.

Furthermore, during our empirical research, one more flaw has been identified - different projects initiated by the state, which have one and the same targeted segments, require different legal forms of registration. Which causes more confusion among the peasants and strengthens their alienation from common initiatives. It is necessary to unify similar activities.

Farmers should be convinced of the need to cooperate and to shape the forms and means of the unions. In our previous studies we published an agrarian cluster model, which in our view is a more efficient way to unite. However, in the focus group, research has shown that farmers are not nearly ready to participate in similar "experiments". But government should

stimulate those people to get involved in modern agrarian production, which at the end will play substantial role in boosting Georgia's economy.

Most importantly-the developing line of Georgian agricultural sector must become the development of high quality bio (organic) products, which will be exported to the European market. Of course, we can not sell our product in the EU today, but in case of correct agriculture and export policy, this will be a real, stable and profitable niche for Georgian products.

Implementation of all of the above listed in the next few years will result in sharp intensification of the competitive production of the industry. In order to stimulate export, it is necessary to help the private sector in the field of net marketing as well as all the channels and resources available, to position Georgia as a producer of high quality agricultural products producer on the world market. In order to achieve this goal, the strict control over the quality of export products and the protection of companies from falsification of appellations of origin will be necessary.

Finally, these measures will lead to rapid development of the agrarian sector, increase farmers' involvement and sharply increase revenues of the region, which will reduce the number of socially vulnerable people in the country and liberate the budgetary houses to further stimulate the economy.

All above cause the intensification of production in the field increase the competitiveness of agro producers and manufacturers. The strict quality control will increase the country's image, as a best quality producer and gives opportunity Georgian companies for diversification of their markets.

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

თენგიზ ვერულაფა

მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ჯანდაცვისა და დაზღვევის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამბულატორიული მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის

რეზიუმე. ხანდაზმულები, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, განეკუთვნებიან ერთ-ერთ მაღალრიისკიან ჯგუფს. საქართველოში პენსიონრები მოცულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველი ქრონიკული ავადმყოფებისათვის დამატებით მოქმედებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. კვლევის მიზანია ხანდაზმულთათვის მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 700 პენსიონრის გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. რესპოდენტთა უმრავლესობა ერთდროულად იყენებს სამზე მეტ მედიკამენტს (54%), რომელსაც იძენს ოჯახის ექიმთან მიმართვის გარეშე (57%) და ეწევა თვით-მკურნალობას (37%), რისთვისაც თვეში ხარჯავს 51-75 ლარს (39%). მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი შეადგენს 72 ლარს, რაც პენსიონრის პერსონალური შემოსავლის 33%-ია. რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები ისევ მაღალია. პენსიონერთა 29% თვეში ჯიბიდან იხდის 51-75 ლარს. მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 56 ლარს, რაც პენსიონრის პერსონალური შემოსავლის 25%-ია. გამოკითხულთა საკმაოდ ნაწილმა მთავარ პრობლემად მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები დაასახელა (26%). თითქმის მესამედმა (31%) სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შეძენა. უმეტესობამ (64%) არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების ხარჯებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერთათვის. ხანდაზმულთა მიერ მედიკამენტების შეძენა ოჯახის ექიმის გარეშე, აჩვენებს მათ არარაციონალურ არჩევანს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად. 2017 წელს ამოქმედებულმა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ გარკვეულწილად შეამსუბუქა ხანდაზმულების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა, რესპოდენტები უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას. დაბალია დაზღვეულთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მედიკამენტებზე დანახარჯები მძიმე ტვირთად აწევბა იმ ხანდაზმულთა შემოსავლებს, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველნი. მიზანშეწონილია, ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, სოციალურად დაუცველების გარდა, მოიცვას საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფებიც, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები, არაიშვიათად, ძალზე მაღალია და შესაძლოა, მათი გადატანის მიზეზი გახდეს.

საკვანძო სიტყვები: ხანდაზმულები, პერსონალური შემოსავლები, მედიკამენტებზე დანახარჯები, მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ ქვეყნებში, შეინიშნება მოსახლეობის დაბერება, ანუ მოსახლეობაში ხანდაზმული ასაკის პირების წილის ზრდა. 1989 წელს ხანდაზმულთა - 65 წლისა და უფროსი ასაკის წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში შეადგენდა 8,8 პროცენტს, ხოლო 2014 წელს - 14,3 პროცენტს [სსსს, 2018]. გაეროს პროგნოზის თანახმად, 65 წლისა და უფროსი ასაკის პირების წილი მთლიან მოსახლეობაში მიაღწევს 18,9 პროცენტს 2030 წელს და ეს მაჩვენებელი 25,3 პროცენტამდე გაიზრდება 2050 წლისათვის [ბრუნი, ჭითანავა, 2018].

მოსახლეობის დაბერებასთან ერთად, საქართველოში სულ უფრო მკვიდრდება დასავლური ცხოვრების სტილი. ამ ცვლილებების შედეგად, წლიდან წლამდე იზრდება იმ ხანდაზმულთა წილი, რომლებიც ცხოვრობენ მარტო ან მხოლოდ მეუღლესთან ერთად. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის 32,9% ცხოვრობს დამოუკიდებლად: ან მეუღლესთან ერთად (16,6%) ან მარტო (16,3%). იგივე ასაკის მოსახლეობის 35,6% მეუღლის გარეშე ცხოვრობს, კერძოდ, ეს კატეგორია ან არასდროს ყოფილა ქორწინებაში, ან, ხშირ შემთხვევაში ქვრივია და ცხოვრობს 65 წლამდე ასაკის ოჯახის წევრებთან - უმეტეს შემთხვევაში, შვილებთან ერთად. დარჩენილი 31,5% ძირითადად არიან ხანდაზმული წყვილები, რომლებიც ცხოვრობენ მათზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან ერთად [ბრუნი, ჭითანავა, 2018]. კვლევები ადასტურებენ, რომ საცხოვრებელი პირობები, კერძოდ, მარტო ცხოვრება, ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაბალ თვითშეფასებას და შეზღუდული შესაძლებლობებისა და დეპრესიის მაღალ დონეს ხანდაზმულ ქრონიკულ ავადმყოფებში [Fortinet et al. 2010; Do & Malhotra 2012; Dong et al. 2010].

ხანდაზმულებში მედიკამენტების მოხმარების ზრდა იწვევს ჯანდაცვის ხარჯების ზრდას [Morgan et al. 2004; Thomas et al. 2001; Alpert, 2015]. ხანდაზმულები, განსაკუთრებით მარტოხელები, არიან სოციალური იზოლირების მაღალი რისკის ქვეშ [Liffe, 1992]. ამასთან, საქართველოს, როგორც დაბალშემოსავლიან ქვეყანას, არ გააჩნია სათანადო სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, როგორცაა ხანდაზმულთა პენსია. აღნიშნული განაპირობებს ხანდაზმულთა სიღარიბეს [Verulava et al. 2016].

კვლევების მიხედვით, ხანდაზმული მოსახლეობის 84,2 პროცენტისთვის პენსია შემოსავლის ძირითად წყაროა [ბრუნი, ჭითანავა, 2018]. მათ უფრო ხშირად აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მათ შორის ქრონიკული და ისეთი დაავადებები, რომლებიც იწვევენ შესაძლებლობების შეზღუდვას, ცხოვრების ხარისხის გაუარესებას [McDonald et al. 2008]. დაბერების შედეგად სუსტდება იმუნური სისტემა, ქვეითდება ორგანიზმის თვითაღდგენის უნარი და იზრდება სხვადასხვა დაავადებების განვითარების საფრთხე. ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იზრდება მათ ჯანდაცვაზე გასაწევი ხარჯები [Verulava et al. 2018].

2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. საპენსიო ასაკის პირები სარგებლობენ პროგრამით გათვალისწინებული სრული მომსახურებით [Verulava et al. 2017a]. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული გეგმიური და გადაუდებელი სერვისები [Verulava et al. 2017b].

საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წლის კვლევის მიხედვით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა [გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018]. 2015-2017 წლებში იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდათ, 43,1%-დან 22,3%-მდე შემცირდა.

2015 წლის კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევის [UNICEF, 2016] თანახმად, პენსიონერთა ორი მესამედისთვის (65 პროცენტი) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სამედიცინო ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს. დარჩენილი ერთი მესამედისთვის, სამედიცინო ხარჯები ძირითად შინამეურნეობის ბიუჯეტიდან ან მეგობრებისა და ნათესავებისაგან მიღებული დახმარებით იფარება. ექიმთან უკანასკნელი ვიზიტის დროს სამედიცინო კონსულტაციებზე ხანდაზმულების მიერ გაღებული თანხა(საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიერ დაფარული ხარჯების მიღმა) საშუალოდ 25ლარს შეადგენს.

2017 წლის ივლისიდან ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისათვის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამით სარგებლობა შეუძლია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დარეგისტრირებული ნებისმიერი ასაკის მოქალაქეს, რომლის სარეიტინგო ქულა 100 000-ს არ აღემატება და აქვს შემდეგი ტიპის დაავადებები: გულსისხლძარღვთა, ფილტვის, დიაბეტი (ტიპი 2), ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებები [სშჯსდს, 2017]. პროგრამა ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას. თუმცა იგი ვრცელდება მხოლოდ იმ პენსიონრებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. სასურველი იქნებოდა, პროგრამას მოეცვა არა მარტო სოციალურად დაუცველები, არამედ საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფები, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის სამკურნალო მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები არაიშვიათად ძალზე მაღალია და შესაძლოა, მათი გადატაკების მიზეზი აღმოჩნდეს.

სამედიცინო მომსახურებაზე ხარჯები ფინანსურად კატასტროფულია, როდესაც იგი საფრთხეს უქმნის ოჯახს, შეინარჩუნოს ჩვეულებრივი ცხოვრების დონე [Berki, 1986] და როცა აღემატება მის გადასდელუნარიანობას. ოჯახის შემოსავლების მიხედვით განისაზღვრება ის ბარიერი, რომლითაც მის მიერ ჯიბიდან დანახარჯები განაპირობებს ფინანსურად კატასტროფულ ხარჯებს. მაგალითად, ხარჯები ფინანსურად კატასტროფულად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც იგი აღემატება ოჯახის საშუალო წლიური შემოსავლის 15%-ს [Wyszewianski, 1986]. სხვა კვლევების მიხედვით, ჯანდაცვის ხარჯები „კატასტროფულად“ მიიჩნევა, თუ იგი შინამეურნეობის ხარჯების 10 პროცენტზე მეტს ან შინამეურნეობის არასასურსართო ხარჯების 25 პროცენტზე მეტს შეადგენს[გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018]. ჯანდაცვაზე კატასტროფული ხარჯების შესაფასებლად სხვადასხვა მკვლევარები სხვადასხვა ზღვარს იყენებენ, რომელიც მერყეობს ოჯახის საშუალო წლიური შემოსავლის 5 პროცენტიდან 20 პროცენტამდე [Xu, 2007].

საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის 2017 წლის კვლევის მიხედვით[გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018], ზოგიერთი შინამეურნეობის სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები კატასტროფულად მაღალია. აღნიშნულმა ხარჯებმა მთლიანი ხარჯის 10 პროცენტზე მეტი შეადგინა შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 34.2%-ისთვის და რაც 2015 წლის მაჩვენებელს (29.8%) აღემატება. გარდა ამისა, შინამეურნეობების 26.4%-ისთვის, ჯანდაცვის ხარჯებმა არასასურსათო ხარჯის 25%-ზე მეტი შეადგინა, რაც 2015 წლის მონაცემს (25.1%) აღემატება. აღნიშნული ზრდის ერთ-ერთ მიზეზად მედიკამენტების ღირებულება სახელდება. შინამეურნეობების დაახლოებით 27.8%-მა (2015 წ. დ 26.4%) აღნიშნა, რომ მედიკამენტების შეძენა მათთვის უმთავრესი პრობლემა იყო. მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა ხარჯების სხვადასხვა კვინტილში[გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018].

ამ მხრივ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან საპენსიო ასაკის ბენეფიციარები, რომლებშიც თავიანთი ასაკის გამო, უფრო ხშირია ავადობა და განეკუთვნებიან ერთ-ერთ მაღალრისკიან ჯგუფს [Verulava,2018]. აქედან გამომდინარე, ბევრ ქვეყანაში, მოსახლეობის ამ ნაწილის სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის მედიკამენტებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ფარავს.

საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების ყველაზე მზარდი და დიდი წილი მედიკამენტებზე მოდის [Verulava, 2018]. სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში პაციენტები მედიკამენტებზე საშუალოდ ორჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე ევროპაში. კვლევები ადასტურებენ, რომ შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ძირითადი წილი (69%) მედიკამენტებზე მოდის [გაეროს ბაეშვთა ფონდი, 2018], რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ევროპის ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი საშუალოდ 16-17%-ის ფარგლებში მერყეობს [სშჯსდს, 2013]. ამის მიზეზებია: არარაციონალური ფარმაკოთერაპია, გენერული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენება და დანიშნა, რეცეპტურის მექანიზმების ნაკლოვანება ან არასაკმარისი გამოყენება, პაციენტთა მიერ თვითმკურნალობა, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მედიკამენტების არასაკმარისი ფინანსური ლიმიტი, აგრეთვე ფარმაცევტული ინდუსტრიის მხრიდან აგრესიული მარკეტინგი [სშჯსდს, 2013].

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამედიცინო მომსახურების მომხმარებელი უმეტესად საპენსიო ასაკისაა, ადვილი წარმოსადგენია ჯანდაცვის სერვისებზე და განსაკუთრებით მედიკამენტებზე მათ ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები [Verulava ად. 2015ა; Verulava ად. 2016ბ].

კვლევა მიზნად ისახავდა საპენსიო ასაკის მოსახლეობის მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასებას.

მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მიზნობრივ ჯგუფად განისაზღვრა საპენსიო ასაკის მოსახლეობა. იმის გამო, რომ კვლევა ტარდებოდა შეზღუდულ დროში, კვლევის არეალს წარმოადგენდა ქ. თბილისში მცხოვრები საპენსიო ასაკის ბენეფიციარები, რომლებიც სარგებლობენ ლიბერთი ბანკის ერთი კონკრეტული სერვის ცენტრის მომსახურებით. ბენეფიციართა შერჩევის მეთოდად გამოყენებულ იქნა მარტივი შერჩევის მეთოდი. შეირჩა 700 ბენეფიციარი.

კვლევაში გამოყენებული იქნა პირისპირ ინტერვიუების მეთოდი, სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. კვლევა ჩატარდა 2018 წლის თებერვალი-ივნისის პერიოდში. ბენეფიციართა ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 30-45 წთ.

შედეგები

გამოკითხული 700 ხანდაზმული რესპოდენტიდან 56,4% ქალი იყო (395) და 43,5 % (305) კაცი. გამოკითხულ ხანდაზმულთა ასაკი მერყეობდა 60 წლიდან 80 წლამდე, რომელთა საშუალო ასაკი შეადგენდა 68 წელს (SD=5.2). რესპოდენტთა უმეტესი რაოდენობა 66-დან 70 წლის ასაკისაა (36,3%).

როგორც ცხრილშია ნაჩვენები, გამოკითხულთა შორის ქვრივები სჭარბობს (50%). რესპოდენტთა 16% ცხოვრობს დამოუკიდებლად: ან მეუღლესთან ერთად, ხოლო რესპოდენტთა 17% - მარტო. რესპოდენტთა 36% ცხოვრობს ერთ ან მეტ 60 წლამდე ასაკის ოჯახის წევრებთან - უმეტეს შემთხვევაში, შვილებთან ერთად, მეუღლის გარეშე. რესპოდენტთა 31% არიან ხანდაზმულები, რომლებიც ცხოვრობენ მათზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან ერთად. გამოკითხულთა უმრავლესობის შინამეურნეობის თვიური შემოსავალი 500-1000 ლარის ფარგლებში მერყეობს (287 პირი, 41%). იმის გათვალისწინებით, რომ რესპოდენტთა უმრავლესობისათვის (76%) შემოსავლის მთავარი წყარო პენსიაა, პერსონალური შემოსავალი

შეადგენს 200 ლარზე ნაკლებს, ხოლო საშუალო შემოსავალი - 220 ლარს.

ცხრილი 1

მახასიათებლები	რესპოდენტთა რაოდენობა (n=700)	%
სქესი		
კაცი	305	43.5
ქალი	395	56.4
ასაკი		
60-65	122	17.4
66-70	254	36.3
71-75	195	27.9
ქ75	129	18.4
საშუალო ასაკი	68 ± 5.2	
ქორწინებითი მდგომარეობა		
ქორწინებაში მყოფი	315	45
განქორწინებული	21	3
ქვრივი	350	50
არასდროს ყოფილან ქორწინებაში	14	2
საცხოვრებელი პირობები		
ცხოვრობს მარტო	119	17
ცხოვრობს მხოლოდ მეუღლესთან ერთად	112	16
ცხოვრობს ერთ ან მეტ 60 წლამდე ზრდასრულთან ერთად, მეუღლის გარეშე	252	36
ცხოვრობს ერთ ან მეტ 60 წლამდე ზრდასრულთან ერთად, მეუღლესთან ერთად	217	31
შემოსავლის ძირითადი წყარო		
პენსია	532	76
სამუშაოდან მიღებული შემოსავალი	91	13
სხვა შემოსავლები (საკუთრებიდან ან დანაზოგიდან მიღებული შემოსავალი, უცხოეთიდან ფულადი გზავნილები და სხვა წყაროებიდან მიღებული)	77	11
პერსონალური შემოსავალი		
200-ზე ნაკლები	532	76
200 - 500	105	15
500 დ 1000	70	10
1000-ზე მეტი	0	0
საშუალო შემოსავალი	220 ± 15	
შინამეურნეობის შემოსავლები (ლარი)		
200-ზე ნაკლები	38	12
200 - 500	126	18
500 დ 1000	287	41
1000-ზე მეტი	203	29
საშუალო შემოსავალი	780 ± 56	

რესპოდენტთა მონაცემები

მედიკამენტების მომხმარებელია 60-75 წლის პენსიონერთა 78% და 75 წელზე მეტი ასაკის 92%. რესპოდენტთა 20% (140) ერთდროულად იყენებს ხუთზე მეტ, ხოლო 34% (238) - სამ ან ხუთ მედიკამენტს. საშუალოდ, თითოეული პირის მიერ გამოყენებული მედიკამენტების რაოდენობა შეადგენდა 3.1 (SD = 2.3) (ცხრილი 2).

ხანდაზმულები ყველაზე ხშირად იყენებენ გულსისხლძარღვთა სისტემის სამკურნალო საშუალებებს (66%).

კითხვაზე, ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში რა ქმედებებს განახორციელებენ, რესპოდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ისინი მედიკამენტებს შეიძენენ აფთიაქში რეცეპტის გარეშე (57%), ასევე მაღალია იმ რესპოდენტთა წილი, რომლებიც ეწევიან თვითმკურნალობას (37%). თუმცა, ექიმთან კონსულტაცია აღნიშნა რესპოდენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა (46%).

მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი შეადგენს 72 ± 13 , რაც პენსიონრის პერსონალური შემოსავლის 33%-ია. რესპოდენტთა 27% ჯიბიდან არაფერს იხდის მედიკამენტებზე, რადგან ისინი ჩართულნი არიან სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში. რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები ისევ მაღალია. პენსიონერთა 29% თვეში ჯიბიდან იხდის 51-75 ლარს, ხოლო 16% - 76-100 ლარს. მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 56 ± 11 , რაც პენსიონრის პერსონალური შემოსავლის 25%-ია.

ცხრილი 2

რესპოდენტები და მედიკამენტები

მასხისათებლები	რესპოდენტთა რაოდენობა (n=700)	%
მედიკამენტების გამოყენება ასაკის მიხედვით		
60-75	445 (n=571)	78
≥75	119 (n=129)	92
არ იყენებს	136 (n=700)	19
ერთდროულად გამოყენებული მედიკამენტების რაოდენობა		
1-2 მედიკამენტი		
3-5 მედიკამენტი	322	46
≥5	238	34
მედიკამენტების საშუალო რაოდენობა გამოყენებული თითო პირის მიერ	140	20
	3.1 ± 2.3	
ფარმაკოლოგიური ჯგუფები, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ *		
გულსისხლძარღვთა სისტემა	462	66
ანალგეზიური/ანთების საწინააღმდეგო	217	31
ვიტამინები	168	24
ცენტრალური ნევრული სისტემის	182	26
ჰიპოგლიკემიური	126	18
სხვა	287	41
ქმედებები ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში*		
ექიმთან კონსულტაცია	322	46
მედიკამენტების მიღება საოჯახო აფთიაქიდან	189	27
მედიკამენტების ყიდვა აფთიაქში რეცეპტის გარეშე	399	57
სხვა ადამიანების მოსაზრების გაზიარება	77	11
თვითმკურნალობა	259	37
მედიკამენტებზე დანახარჯები თვეში		
50 ლარზე ნაკლები	196	28
51-75 ლარი	273	39
76-100 ლარი	140	20
100 ლარზე მეტი	92	13
საშუალო დანახარჯი	72 ± 13	

მედიკამენტებზე ჯიბიდან დანახარჯები		
0 ლარი	189	27
50 ლარზე ნაკლები	133	19
51-75 ლარი	203	29
76-100 ლარი	112	16
100 ლარზე მეტი	63	9
საშუალო ხარჯი	56 ± 11	

- მრავალი არჩევანის კითხვა

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა ოჯახში არსებულ მთავარ პრობლემად დაბალი პენსია (28%) დაასახელა, შემდეგ მოდის მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები (26%). რესპოდენტთა თითქმის მესამედი (31%) აღნიშნავს, რომ სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო გამოკითხულთა 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შექენა. პენსიონერთა 54% შეძლო დანიშნული მედიკამენტის სრულად შექენა.

ცხრილი 1

	n	%
ოჯახის მთავარი პრობლემა		
მედიკამენტებზე ხარჯები საკმაოდ მაღალია		26
უმუშევრობა		16
დაბალი პენსია		28
საკვების ყიდვა		23
კომუნალური გადასახადები		5
არაღამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები		2
ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების შექენა		
სრულად ვერ შევიძინე.	217	31
საერთოდ ვერ შევიძინე.	105	15
სრულად შევიძინე	378	54
ხანდაზმულთა ინფორმირებულობა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ		
მაქვს ინფორმაცია	252	36
არ მსმენია პროგრამის შესახებ	448	64

შესწავლილ იქნა პენსიონერთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ. რესპოდენტთა პასუხებმა გვაჩვენა, რომ ამ მხრივ ხანდაზმულთა ინფორმირებულობის დონე დაბალია. გამოკითხულ პენსიონერთა უმეტესობამ (64%) არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო უნაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების ხარჯებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერებს. აღნიშნულის შესახებ რესპოდენტთა მხოლოდ 36%-ს ჰქონდა ინფორმაცია.

დისკუსია

კვლევის შედეგებით, გამოკითხულთა შორის ქვრივების სიჭარბე აჩვენებს ოჯახური კავშირების და ურთიერთობების ცვლილებებს ხანდაზმულობის ასაკში. ერთ-ერთიმეულდის გარდაცვალების გამო. შედეგად, ხანდაზმულები მოკლებული არიან მეუღლეთა მხრიდან პრაქტიკულ და ემოციურ თანადგომას. მეუღლის გარდაცვალება ასევე ნიშნავს ორიდან ერთი პენსიის დაკარგვას, რაც შინამეურნეობის დონეზე აღარ იძლევა მასშტაბის ეკონომიის მიღწევის საშუალებას. შედეგად, დაქვრივება აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას. ხანდაზმულები სოციალური იზოლაციისა და ეკონომიკური სიდუხჭირის საფრთხის წინაშე დგანან.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანდაზმულთათვის მედიკამენტები ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია. მედიკამენტების მომხმარებელ ხანდაზმულთა რაოდენობა 78-92%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც მცირედ აღემატება საერთაშორისო კვლევებში დაფიქსირებულ მაჩვენებელს [Chen at al. 2001].

კვლევით დადგინდა პოლიფარმაცია, ანუ პაციენტი იღებს იმაზე მეტ წამლებს, ვიდრე კლინიკურად ნაჩვენებია ავადმყოფის მდგომარეობისათვის. რესპოდენტთა 54% ერთდროულად იყენებს სამზე მეტ მედიკამენტს (20% - ხუთზე მეტს, ხოლო 34% -3-5-ს).

რესპოდენტთა უმრავლესობა (57%) ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში ექიმის ნაცვლად მიმართავს ავთიაქს, სადაც ყიდულობს მედიკამენტებს რეცეპტის გარეშე. სხვა კვლევებით რეცეპტის გარეშე მედიკამენტების ყიდვა შეადგენს 37%-ს [Coelho at al. 2004]. ასევე, მაღალია იმ რესპოდენტთა წილი, რომელიც ეწევა თვითმკურნალობას. აღნიშნული აჩვენებს ხანდაზმულთა არარაციონალურ არჩევანს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემის დროს .ამ მხრივ, ავთიაქი და თვითმკურნალობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამედიცინო მომსახურების არაფორმალურ ქსელში. მიუხედავად ამისა, რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტების მიღების მთავარი წყარო ექიმია (46%).

რესპოდენტთა შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი 500-1000 ლარის ფარგლებში მერყეობს (41%), რაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილ ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიურ შემოსავალს (1110.7 ლარი) ჩამორჩება. პენსიონრები საშუალოდ საკუთარი შემოსავლის 33%-ს ხარჯავენ მედიკამენტებზე. მიუხედავად ამისა, კვლევა აჩვენებს, რომ ხანდაზმულთა უმრავლესობა (54%) ახერხებს, შეიძინოს მათთვის საჭირო მედიკამენტები. თუმცა, რესპოდენტები ოჯახის უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას (26%). მათი მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მედიკამენტებზე ჯიბიდან დახარჯული თანხა 50 ლარს აღემატება, ხოლო საშუალო თვიური დანახარჯი საკუთარი პერსონალური შემოსავლის 25%-ია. რესპოდენტთა თითქმის მესამედი (31%) აღნიშნავს, რომ სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო გამოკითხულთა 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შეძენა. ჩატარებული კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ სამკურნალო საშუალებებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა ისევ პრობლემად რჩება პენსიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის.

თუმცა, სამკურნალო საშუალებებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა შედარებით გაუმჯობესდა. 2014 წელს ჩატარებულ კვლევასთან [Verulava,2014] შედარებით, გამოვლინდა, რომ თუ დღეისათვის რესპოდენტთა დიდი ნაწილისათვის მთავარი პრობლემაა დაბალი პენსია (28%), ხოლო შემდეგ - მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები (26%), 2014 წელს ჩატარებული კვლევის დროს მთავარ პრობლემად დასახელდა მედიკამენტების შეძენა (36%). იმ პენსიონერთა რაოდენობა, რომლებმაც სიძვირის გამო სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, 38%-დან 31%-მდე შემცირდა. ხოლო იმ პენსიონერთა რაოდენობა, რომლებმაც საერთოდ ვერ შეძლეს მისი შეძენა, 32.4%-დან 15%-მდე შემცირდა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ 2017 წელს ამოქმედებულმა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ გარკვეულწილად შეამსუბუქა ხანდაზმულების, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობა.

დაბალია დაზღვეულთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ. ხანდაზმულთა უმეტესობამ არ იცის, რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერ-

თათვის.

დასკვნა

2017 წლის ივლისიდან ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისათვის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შემოღებამ დადებითი როლი ითამაშა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. მიუხედავად ამისა, მედიკამენტებზე დანახარჯები მძიმე ტვირთად აწევა იმ ხანდაზმულთა შემოსავლებს, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. კვლევამ აჩვენა, რომ მედიკამენტებზე საშუალო დანახარჯები ხანდაზმულთა საპენსიო შემოსავლების საკმაოდ ნაწილს შეადგენს.

სასურველი იქნებოდა, პროგრამას მოეცვა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველები, არამედ საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფები, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის სამკურნალო მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები შესაძლოა მათი გადატაკების მიზეზი აღმოჩნდეს.

Tengiz Verulava

*Doctor of Medicine, Professor of Ilia State University,
Head of Public Health and Insurance Institute*

ACCESS TO MEDICINES FOR PENSION AGE POPULATION IN GEORGIA

Expanded Summary

Pension age population belong to the largest risk group within insurance sphere. Healthcare for pensioners often represents catastrophic expenses and has become the major reason for their impoverishment. Families in Georgia spend about 60% of all their healthcare expenses on medicines, this being one of the highest rates across the world. There is some evidence that the high costs of medicines are due to a combination of factors, including insufficient usage/administering of generic medicines, lack or inadequate utilization of prescription mechanisms, insufficient financial limit for medicines within the state healthcare programs, and aggressive marketing by the pharmaceutical industry.

The government has been trying to decrease the out-of-pocket spending via different strategies, including universal health coverage (UHC). Since February 2013, the Universal Health State Program came into force, targeting two million of uninsured population and providing a basic package for primary health care and emergency services.

Pension age population form the largest at risk group within the insurance sphere. Healthcare for pensioners often represents catastrophic expenses and has become the major reason for their impoverishment. The most rapidly increasing and unaffordable share of healthcare expenses falls upon medicines. This paper examines financial access to medicines and the satisfaction with the insurance policy within the Georgia State Health Insurance Program for pension age population.

This paper examines financial access to medicines and the satisfaction with the insurance policy within the Georgia State Health Insurance Program for pension age population.

Using a randomized selection method, 500 pension age persons were interviewed by means of direct questioning.

According to the Social Service Agency, there are 45,455 pension age recipients of medical insurance in Tbilisi with a total of 673,183 pension age population across the country (National Statistics Service of Georgia, 2013). Out of the 500 persons (62.4% women and 37.6% men) interviewed. The sample population covered all the districts of Tbilisi. The interviews took place in clinics. The largest segment of the interviewed population was between the ages of 71-75 (35.2%).

While the Georgia State Health Insurance Program for pension age population includes some compensation for medicines, medical insurance does not provide guarantee for financial accessibility to medical service. The results show that out-of-pocket payment is the most

common health financing mechanism in Georgia. The cost of healthcare for pensioners often represents catastrophic expenses and becomes the major reason of their impoverishment. Based on the results, medication expenses represent one of the most important components of the medical service for the insured pensioner population. Over 55% of the pensioners have to buy medications at least once a month and 34% purchase them at least once or twice a week. Most of the interviewed insured population believes that buying medicines, combined with low financial accessibility to relevant medical services, is the most significant problem for their families.

The awareness level of the insured persons about medication coverage and payments for medical services provided by the insurance package within certain limit is low (100 GEL - about 57 USD). Major proportion of those interviewed (64%) stated that their out-of-pocket expenses exceeded these limit; 20.4% exceeded that amount by 80 GEL or more. The fact that 32.8% of the insured population cannot afford medications prescribed by their doctors also points out at low financial accessibility for medicines. The majority of those insured did not know that the insurance company compensates medicine expenses within the policy annual insurance limit. Additionally, 58.8% of those who have to pay for certain types of medical services covered by the state insurance program out of their pockets were not aware about the limits.

Reduction of catastrophic healthcare expenses should become the chief aim of the government health policy. It applies to the high risk population, those under poverty line and pension age population, as well as those with chronic diseases. Accordingly, based on the findings, it is reasonable to expand the insurance program for the pension population and also provide more reasonable coverage of medication expenses.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრუნბ, ჭითანავა მ. (2017). მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი. [Source](#)
2. გაეროს ბავშვთა ფონდი (2018). მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მოკლე მიმოხილვის ანგარიში. [Link](#).
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სშჯსდს) 2013. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში. [Link](#).
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 01-177/ო, 8 აგვისტო 2017 წელი (სშჯსდს, 2017). „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ. [Link](#)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სსეს). 2018. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით.
6. Alpert PT.(2015). Issues Surrounding Polypharmacy. Home Health Care Management and Practice. 27(4):256-258. [Sage Journals](#), [Google Scholar](#).
7. Berki SE.(1986). A Look at Catastrophic Medical Expenses and the Poor. Health Affairs.5(4):138-145. [Medline](#), [Link](#), [Google Scholar](#).
8. Chen YF, Dewey ME, Avery AJ. (2001). Analysis Group of The MRCCFA Study. The Medical Research Council Cognitive Function and Ageing Study (MRC CFAS). Self-reported medication use for older people in England and Wales. J Clin Pharm Ther.26(2):129-140. [Medline](#), [Google Scholar](#).
9. Coelho, Filho JM, Marcopito LF, Castelo A. (2004). Medication use patterns among elderly people in urban area in Northeastern Brazil. Rev Saude Publica.38(4):557-564.

10. Do YK, Malhotra C. (2012). The effect of coresidence with an adult child on depressive symptoms among older widowed women in South Korea: an instrumental variables estimation. *J Gerontol Ser B Psychol Sci Soc Sci.*67(3):384–391. [Link](#),
11. Dong X, Simon M, Fulmer T, Mendes LCF, Rajan B, Evans DA.(2010). Physical function decline and the risk of elder self-neglect in a community-dwelling population. *The Gerontologist.*50(3):316–326. [Medline](#), [Google Scholar](#).
12. Fortin M, Hudon C, Haggerty J, Akker M, Almirall J. (2010). Prevalence estimates of multimorbidity: a comparative study of two sources. *BMC Health Serv Res.*10:111. [Medline](#), [Google Scholar](#).
13. Iliffe S, Tai SS, Haines A, Gallivan S, Goldenberg E, Booroff A, Morgan P. (1992). Are elderly people living alone an at risk group? *BMJ.* 305(6860):1001–1004. [Medline](#).
14. Morgan SG, Agnew JD, Barer ML. (2004). Seniors’ prescription drug cost inflation and cost containment: evidence from British Columbia. *Health Policy.*68(3):299–307. [Medline](#), [Google Scholar](#).
15. McDonald MV, Peterson LE, Dugan L.(2008). Finding success in medication management. *Home Health Care Management and Practice.*20(2):135-140. [Sage Journals](#), [Google Scholars](#).
16. Thomas CP, Ritter G, Wallack SS. (2001). Growth in prescription drug spending among insured elders. *Health Aff.* 20(5):265–277. [Link](#), [Google Scholar](#).
17. UNICEF (2016). *The Welfare Monitoring Survey 2015. Summary*. Tbilisi, UNICEF. [Link](#).
18. Verulava T. (2014). Access to Medicines within the State Health Insurance Program for Pension Age Population in Georgia (country). *HealthMED.*8(9):1078-1082. [Link](#), [Google Scholar](#).
19. Verulava T, Sibashvili N. (2015a). Accessibility to Psychiatric Services in Georgia. *African Journal of Psychiatry (South Africa).*;18 (3):1-5. [Link](#), [Google Scholar](#).
20. Verulava T, Gabulani M. (2015b). Accessibility of Urgent Neurosurgery Diseases by the State Universal Healthcare Program in Georgia (country). *Gazi Medical Journal.*26(2): 42-45. [Link](#), [Google Scholar](#).
21. Verulava T, Adeishvili I, Maglakelidze, T. (2016). Home Care Services for Elderly People in Georgia. *Home Health Care Management Practice.*28 (3):170-177. DOI: 10.1177/1084822315627785. [Sage Journals](#), [Google Scholars](#).
22. Verulava T, Jorbenadze R, Barkalaia T. (2017). Introduction of universal health program in Georgia: Problems and Perspectives. *Georgian Medical News.* 262 (1): 116-120. [Medline](#), [Google Scholars](#).
23. Verulava T, Grdzlishvili A, Magaldadze M, Makharashvili A, Chibukhaia G, Jorbenadze R, Dangadze. B. (2018a). Social problems of Alzheimer's patients and their family members. *Home Health Care Management & Practice.* [Sage Journals](#), [Google Scholars](#).
24. Verulava T. (2018b). Pension System in South Caucasus: Challenges and Reform Options. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.*;12 (1):168-174. [Link](#), [Google Scholars](#).
25. Verulava T, Maglakelidze T. (2018c). Health Financing Policy in the South Caucasus: Georgia, Armenia, Azerbaijan. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.*;11(2): 143-150. [Link](#), [Google Scholar](#).
26. Wyszewianski L. (1986). Financially catastrophic and high-cost cases: definitions, distinctions, and their implications for policy formulation. *Inquiry.*23(4):382-394. [Medline](#), [Google Scholar](#).
27. Xu K, Evans DB, Carrin G, Aguilar-Rivera AM, Musgrove P, Evans T.(2007). Protecting household from catastrophic health spending. *Health Affairs.*26(4):972-83. [Medline](#), [Link](#), [Google Scholars](#).

დოქტორანტიებისა და მაგისტრანტიების სამეცნიერო ნაშრომები
SCIENTIFIC WORKS OF DOCTORAL STUDENTS AND UNDERGRADUATES

გივი მაკალათია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველოს დეფიციტური ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი

რეზიუმე. თანამედროვე საერთაშორისო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენტული გარემოს პირობებში ქვეყნის განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტ აქტიულობას იძენს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. თავისი არსით, სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა ძალზე კომპლექსური და ფართო თემაა. საქართველოში ბოლო წლების მანძილზე საბიუჯეტო შემოსულობების ოპტიმიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა საყურადღებოა სახელმწიფო ვალის ზრდა. მოცემულ ნაშრომში გამოყოფილია დეფიციტური ბიუჯეტის ხარჯვის ტენდენციები და სახელმწიფო ვალის აღების საჭიროება, აგრეთვე შეფასებულია აღებული კრედიტების მიზანმიმართულობა და მიღებული სარგებელი.

საკვანძო სიტყვები: საბიუჯეტო პოლიტიკა, დეფიციტური ბიუჯეტი, გარდამავალი ეკონომიკა, სახელმწიფო ვალი

შესავალი

2011 წელს საქართველოში მიღებულია „ეკონომიკური თავისუფლების შენახვა“ კანონი, რომელიც განსაზღვრავს ნაერთი ბიუჯეტის, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის და სახელმწიფო ვალის პარამეტრებს მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით. ეს პარამეტრები შემდეგნაირად არის განაწილებული: ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი არა უმეტეს 3%, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა არაუმეტეს 30%, ხოლო სახელმწიფო ვალი არაუმეტეს 60% [იხ. www.matsne.gov.ge]. მიმდინარე პერიოდში სახელმწიფო ვალი 43%-ია მშპ-სთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი არ დარღვეულა, ამ სტატიაში ჩვენი მიზანია დეფიციტური ბიუჯეტისგან გამოწვეული სახელმწიფო ვალის გახარჯვის მიზნობრიობის შეფასება, მიღებული სარგებლის ანალიზი და ზრდის შეჩერების გზების ძიება.

* * *

სახელმწიფოს დეფიციტური ბიუჯეტი 2008 წლიდან მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფო საგარეო ვალს და მან დღევანდელი მდგომარეობით 5,1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საშინაო ვალი 1 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. ეროვნული ვალუტის დეველვაციის შედეგად ლარში გამოსახული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია და 17,9 მილიარდ ლარს შეადგენს. 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 1,986 მლნ. ლარით, ხოლო ვალდებულებების კლება 760 მლნ. ლარით, ვალდებულებების ცვლილება კი - 2018 წელს 1,226 მლნ.ლარია. რაც შეეხება 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, კანონპროექტში ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 2,160 მლნ. ლარით, კლება 933 მლნ. ლარით, შესაბამისად კრედიტის მოცულობა კვლავ 1, 226 მლნ. ლარი რჩება [იხ. www.mof.ge]. ეს კი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9,6% -ია (ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 10%-

ია). დონორებისგან მოზიდული კრედიტები ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტებისკენაა მიმართული. რატომ იზრდება საბიუჯეტო გადასახდელები ყოველწლიურად, თუ მის უზრუნველსაყოფად ვალის აღებაც გვიწევს? სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ჯონ მენარდ კეინის ზოგადი თეორიის მიხედვით, ერთობლივ მოთხოვნას ახალისებს, რაც ეკონომიკურ კრიზისებს ამცირებს და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. მიწოდების ეკონომიკის თეორიის მიხედვით, კი სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა ნაკლებად სასურველია, რადგან მიწოდება თავისით ქმნის მოთხოვნას და შესაბამისად, ეკონომიკაც წონასწორობაშია, ხოლო საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება. აღნიშნული თეორიების კომბინირებულ ვერსიას ნეოკლასიკური სინთეზის თეორია წარმოადგენს, რომელშიც კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის ფინანსები ნაწილდება ისე, რომ შეიზღუდოს მწვავე რეცესიული პროცესები ან გადაჭარბებული „ეკონომიკური ბუმი“. აღნიშნული კანონის პარამეტრების მიხედვით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საქართველოში ნეოკლასიკური სინთეზის თეორიის მიდგომები სჭარბობს (თუმცა რომელიმე თეორიის სრულად მისადაგება საქართველოს რეალობასთან ძალზე სადავო თემაა). უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად, მისი ხარისხობრივი მხარეც უნდა განვიხილოთ, ანუ როგორია სახელმწიფოს ბიუჯეტის შეზღუდული რესურსების გახარჯვის ეფექტიანობა და მიზანმიმართულობა. თუ ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის ქვეყანაში ინფრასტრუქტურის მოწვესრიგებლობა, სახელმწიფომ თავისი ფინანსური რესურსი უნდა მიმართოს ამ მიმართულებით, რადგან საზოგადოებრივი საქონლის შექმნის ფუნქცია სწორედ სახელმწიფოს ეკისრება. თუ კერძო სექტორის მთავარ ბარიერს ინფრასტრუქტურა ადარ წარმოადგენს, მაშინ იგივე ძალისხმევით სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურის განვითარება მოსალოდნელ ეკონომიკურ ზრდას ვეღარ მოგვცემს. მაშასადამე, თუ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის სახელმწიფო შემხვედრ ნაბიჯებს არასწორი მიმართულებით დგამს, მაშინ საბიუჯეტო გადასახდელების ზრდა, მითუმეტეს ვალის აღებით, გაუმართლებელია, მაგრამ ერთობლივ მოთხოვნას იგი ასტიმულირებს. ამ შემთხვევაში ეკონომიკა იზრდება ვალის დახმარებით და არა უმეტესად თავისი იმანენტური სტრუქტურული ძვრებით. საქართველოში სწორედ ამგვარ სიტუაციას ვხვდებით. დონორებისგან მოზიდული კრედიტების 80% ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის. [იხ. www.mof.ge] დღესდღეობით, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორს ძირითადად ძვირი კრედიტები და არაჯანსაღი კონკურენტული ბაზარი წარმოადგენს [ხადური, 2018]. კარგი იქნებოდა ბაზრის დივერსიფიცირება, განსაკუთრებით ფინანსურ ბაზარზე. აუცილებელია საფონდო ბირჟის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კანონმდებლობის მოწესრიგება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ინკლუზიური განვითარებისათვის ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს. შესაბამისად, საბიუჯეტო პოლიტიკა ამ მიმართულებითაც უნდა ითვალისწინებდეს დანახარჯებს, ეკონომიკური ზრდა კი შემდგომი ვალების აღების შემცირების მთავარი გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 4-5 % - ია, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებას პირდაპირპროპორციულად არ გულისხმობს. ეკონომიკური განვითარება შეიძლება შეფასდეს შემდეგი მაჩვენებლებით: დაბალი უთანასწორობით, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს ყოველწლიური ზრდით, დაბალანსებული ან დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსით, დაბალი უმუშევრობის დონით, ეროვნული დანაზოგების ინვესტიციებად დროულად გადაქცევით და სხვა. მოცემულ მაჩვენებლებთან მიმართებით საქართველოში მწვავე პრობლემებია: მაგალითად, ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, უთანასწორობის დონე მაღალია და შეადგენს 0,4-ს. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ბოლო წლების მანძილზე (სასაქონლო სავაჭრო სალდო) 5 მლრდ. აშშ დოლარზე მეტია. უმუშევრობის დონე 13,9%-ია. საქართვე-

ლოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თვითდასაქმებულთა და უმუშევართა საერთო რაოდენობა 70% შეადგენს. ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია და მათი უმრავლესობა აწარმოებს პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის. [საქართველო 2020“, 2014 :9] მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში, 2017 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი კი მხოლოდ 8,2%-ია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემა მწვავედ დგას. დანაზოგების ინვესტიციებად გადაიქცევა, ხოლო დანარჩენი იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხად, რაც ნამდვილად არასახარბიელო მაჩვენებელია. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება და 2017 წლის მონაცემებით 10 204 ლარს შეადგენს (თუმცა ის საშუალო მაჩვენებელია და გასათვალისწინებელია უთანასწორობის დონე) [იხ. www.geostat.ge].

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მისასაღებელია მცირე ბიზნესის სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკური ზრდის კუთხით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ერთი მხრივ, საბიუჯეტო ინტერვენციები და, მეორე მხრივ, ეროვნული და უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანი ფაქტორებია ეკონომიკური ზრდისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ კერძო ეროვნული დანაზოგები მჭირია [ხადური, 2018], აქცენტი გადატანილია საბიუჯეტო პოლიტიკაზე და პირდაპირ უცხოური ინვესტიციებზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე 12 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მრეწველობის მიმართულებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნაკლებად მიედინება (2017 წლის მონაცემებით 5%), [იხ. www.geostat.ge]. შესაბამისად, სტრუქტურულად ეკონომიკის გაჯანსაღებას პუი ნაკლებად უწყობს ხელს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ქვეყნის რეალური სექტორის განვითარების მოლოდინები გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა შემაფერხებელ ფაქტორს საქართველოს მოუწესრიგებელი კანონმდებლობაც წარმოადგენს. [ჭარაია, 2018] აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება ძალზე მნიშვნელოვანია.

2004 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი თვალსაჩინოდ მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. სახელმწიფო ვალის აღსანიშნავი ზრდა 2008 წლიდან იწყება, ამიტომაც საინტერესოა განვიხილოთ ბოლო 10 წლის სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი 1

სახელმწიფო ბიუჯეტის დინამიკა 2008-2018 წლებში

მლნ. ლარი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	5,785	6,754	6,972	7,459	7,806	8,104	9,009	9,703	10,292	11,720	12,459
ყოველწლიური ზრდა	-	-31	218	487	347	298	905	694	589	1,428	739

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 2

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 2010-2017 წლებში

მლნ. ლარი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
რეალური მშპ	20734,4	22241,4	23653,8	24454,9	25585,6	26322,5	27072,4	28422,3
აბსოლუტური ზრდა	-	1507,0	1412,4	801,1	1130,7	736,9	749,9	1349,9
პროცენტული ცვლილება		7,2	6,4	3,4	4,6	2,9	2,8	5,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც მოცემული ცხრილებიდან ჩანს, სახელმწიფო ბიუჯეტის მზარდი ტენდენცია მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისათვის. 2011 წლიდან ეკონომიკური ზრდა მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წინა წელთან შედარებით ნაკლები ნაზრდის კვალდაკვალ. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის მკვეთრ შემცირებას 2013 წელს სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად თავისი მიზეზი ჰქონდა ბიუჯეტის გარღვევის სახით (2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული გეგმიური მაჩვენებლის 92% შეადგინა). [იხ. www.sao.ge] 2014 წელს ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა ისევ იწვევს ეკონომიკის ზრდას. საინტერესოა 2017 წლის საბიუჯეტო გადასახდელების მკვეთრი ზრდა, რომელიც მეტია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტურ ზრდაზე. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფლაციამ „შეჭამა“. 2017 წელს ინფლაცია დაფიქსირდა 6,7%, რომელიც ძირითადად აქციზის გაზრდამ გამოიწვია.

ბოლო წლების განმავლობაში ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ქვეყანაში, თუმცა ეროვნული წარმოების დონე კვლავ დაბალია, რაზეც მიუთითებს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ეკონომიკური ზრდა. მხოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ინფრასტრუქტურის ინდექსის მიხედვით, საქართველო 137 ქვეყანას შორის 69-ე ადგილზეა (2017 წელს - 76-ე ადგილი). მოცემული ინდექსი აერთიანებს როგორც სახმელეთო, საჰაერო და საპორტო, ასევე ტურისტული სერვისების ინფრასტრუქტურას.[იხ. www.weforum.org]

სახელმწიფო ვალის აღების გარეშე საქართველოს ეკონომიკურ ზრდას არსებითი პრობლემები ექმნება. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებულია ვალის აღების ზრდის ტენდენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით გამოირჩევა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოთი (მაგ. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, კერძო საკუთრების დაცულობა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ა.შ.), ეკონომიკური ზრდა კვლავ დაბალია (საშუალოდ 4-5%).

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტი აუცილებელია იმისთვის, რომ ეკონომიკური ზრდა არ შეიცვალოს კლებისკენ, ქვეყანა იძულებულია ყოველწლიურად დაგეგმოს ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვა, რადგან მთლიანი სალდო უარყოფითია. იმისათვის, რომ მთლიანი დეფიციტი გაეზომოთ, უნდა ავიღოთ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, ანუ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი.

ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა 2008-2018 წლებში

მლნ.ლარი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
საოპერაციო სადღო	443,3	-132,5	385,6	1087,1	1064,3	711,2	388,1	782,9	549,9	1256,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	826,7	1041,4	1320,9	1298,0	1219,0	1014,9	967,6	1123,9	1029,3	1581,0
ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი	-383,4	-1173,9	-935,3	-210,9	-154,7	-303,7	-579,5	-341,0	-479,4	-324,1

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბოლო წლების მანძილზე საოპერაციო სადღო დადებითა და მხოლოდ 2009 წელს დაფიქსირდა უარყოფითი (-132 მლნ. ლარი) ნიშნული, რაც ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგია, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტს კი იწვევს არაფინანსური აქტივების ზრდა. მაშასადამე, სახელმწიფო ვალების გამოძვევე მიზეზი ძირითადად არაფინანსური აქტივების ზრდაა. მიუხედავად იმისა, რომ არაფინანსური აქტივების ფუნქციური დატვირთვა ცალკე განსახილველი თემაა, მოკლედ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ენერგეტიკული პროექტების განხორციელება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საკმარისი არ არის. ეს ბოლო წლების ექსპორტ - იმპორტის მაჩვენებლების ტენდენციებმა ნათლად დაადასტურა. მიუხედავად ამისა, მიღებული კრედიტები აღნიშნული მიმართულებით კვლავ მიედინება. ჩვენი აზრით, უპრიანია სახელმწიფოს მიერ იძულებით აღებული ვალი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამალგებისთვის დაიხარჯოს უფრო მიზანმიმართულად. ამ მხრივ კი, განვლილი წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროა ფინანსების მიმართვა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის, არამედ უშუალოდ სახელმწიფოს მიერ გარკვეული რისკების თავის თავზე აღებისათვის, რომელიც შეიძლება გამოიხატოს საწარმოო დანიშნულების საქონლის შექენაში მეწარმეებისათვის [არევაძე, ბიბილაშვილი, 2018], რაც ბიზნესისათვის დამატებითი ფინანსური ხარჯებისა და რისკების მინიმუმამდე დაყვანის წინაპირობა იქნება. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს როგორც ექსპორტის წახალისება, აგრეთვე იმპორტნაცვლების სტრატეგიების შემუშავებაც [ლაღანიძე, რამიშვილი, 2018]. ამ მიმართულებით კი სახელმწიფოს ჩართულობის, შესაბამისი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების გარეშე რთული მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებლად მიგვაჩნია. სახელმწიფო ვალით მოზიდული ფინანსური რესურსი კი უშუალო კავშირში უნდა იყოს მოცემულ სტრატეგიებთან (ეს საკითხი ცალკე განსახილველია და ღრმა ანალიზს მოითხოვს), სხვა შემთხვევაში კი არამიზნობრივად გახარჯვის ალბათობა, ჩვენი აზრით, მაღალია. ქვეყნისათვის დეფიციტური ბიუჯეტის ხარჯვა შეიძლება არ წარმოადგენდეს პრობლემას, თუ ის არ იღებს სისტემატურ ხასიათს. სამწუხაროდ, საქართველოს მაგალითი ამ მხრივ ნამდვილად არასახარბიელოა. 2008 დან 2018 წლამდე დოლარში გამოსახული სახელმწიფო ვალის ნაშთის მაჩვენებელი გაორმაგდა, ხოლო ეროვნული ვალუტის დეველუაციის გამო ლარში აღნიშნული მაჩვენებელი გასამაგდა და 17,952 მლნ. ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ვალის ნაშთი 2008-2018 წლებში

მლრდ. აშშ დოლარი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ სახელმწიფო ვალი	2,7	3,7	4,42	5,33	5,5	5,36	5,56	5,5	5,71	6,54	6,65

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მართალია, სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ძალზე მაღალი არაა (43%) და სხვა მრავალ განვითარებულ ქვეყნებს გაცილებით რთული ვითარება აქვთ ამ მხრივ (მაგ. იაპონია 253%, აშშ 105%), [იხ. www.tradingeconomics.com] თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი მხრივ ეკონომიკური ზრდის ტემპი მკვეთრი ზრდის ეფექტთან ერთად და მეორე მხრივ, სტრუქტურულად ეკონომიკის განვითარება. ამიტომ მექანიკურად სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო ვალის ტვირთის შედარება არასწორად მიგვაჩნია. შესაბამისად, თითოეული ქვეყნის სახელმწიფო ვალის წნეხი უნდა შეფასდეს ღრმა ეკონომიკური ანალიზის შედეგად. საქართველოსათვის აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს დაბალ საკრედიტო ტვირთს.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს მომხმარებლური ეკონომიკის გათვალისწინებით სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპი ძალზე საყურადღებოა და საჭიროებს ეკონომიკური პოლიტიკის უკეთ გაანალიზებას. სახელმწიფო ვალის მიერ პოტენციურად შესაძლებელი ეკონომიკური სარგებელი მიმდინარე პერიოდში ძალზე დაბალია (მაგ. რეალური სექტორის განუვითარებლობა), ხოლო გრძელვადიან პერიოდში გარკვეულ პერსპექტივას ქმნის, (მაგ. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა), მაგრამ ეკონომიკის განვითარება მაინც სათუაა. ჩვენი აზრით, უპრიანია უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შესამცირებლად, საექსპორტო საქონლის საწარმოებლად კონკრეტული პროექტები დაიგეგმოს, სადაც შეიძლება გამოყენებული იქნეს დონორებისგან მოზიდული ფინანსური რესურსი. დაბალანსებული საგარეო სასაქონლო ვაჭრობა კი ეკონომიკის სტაბილურად განვითარების წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არევაძე ნ. ბიბილაშვილი ნ., 2018, კორეის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემის თავისებურებები, ქ.: „ეკონომისტი“, ტომი 14, 1, გვ. 142
2. მოხსენება საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ. <https://sao.ge/audit/report-on-budget-execution/2013>
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
4. დღანძიე გ. რამიშვილი ბ., 2018, საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სადღოს გამომწვევი მიზეზები და მათი დაძლევის გზები, ქ.: „ეკონომისტი“, ტომი 14, 2, გვ. 6
5. ჭარაია ვ., 2018, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და სარგებელი საქართველოსთვის, ქ.: „ეკონომისტი“, ტომი 14, 1, გვ. 53
6. ხაღური ნ., 2018, ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები, ქ.: „ეკონომისტი“, ტომი 14, № 1, გვ. 37

7. კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=2>
8. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2018“ <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018>
9. 9."საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი <https://mof.ge/5187>
10. 10.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება "2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" <https://sao.ge/files/auditi/moxseleba-biujeti-2013.pdf>
11. <https://tradingeconomics.com>
12. www.geostat.ge

Givi makalatia

*PhD student at Economics and Business Faculty
at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

GEORGIA'S ADVERSE BUDGET AND STATE DEBT Expanded Summary

Georgia's adverse budget has significantly increased the state external debt since 2008 and is now USD 5,1 billion, while the domestic debt exceeds USD 1 billion. In the current period, the state debt is 43% of GDP, which is within the parameters of the Law on Economic Freedom adopted back in 2011 (60%). Despite the fact that the mentioned law has not been violated, our goal in this article is to evaluate the purpose of spending the state debt caused by the adverse budget and the analysis of the received benefits.

Over the last few years, changes in liabilities make up to 10% of budget payments. The financial resources raised from donors are mainly focused on infrastructural projects.

Nowadays, hindering factors for small and medium businesses are mostly expensive credits and non-competitive markets. This work discusses the necessity of market diversification, especially on the financial market.

The article emphasizes that the state debt contributes to economic growth, though a negative background in the development of the country is still can be observed. Over the last few years, the economy of Georgia has been growing by 4-5%. Economic development can be assessed by the following indicators: low inequality, annual increase of GDP per capita, balanced or positive trade balance, low unemployment rate, timely conversion of national savings into investment. In terms of the mentioned indicators, there are acute problems in Georgia: the level of inequality according to Gini coefficient is 0.4. Negative trade balance in recent years (commodity trading) exceeds USD 5 billion. More than US dollars. Unemployment rate is 13,9%. Savings will be converted into ½ investments, whereas the rest - to the mortgage and consumer loans, which is not really the best indicator. The GDP per capita per annum is increasing annually, and by 2017 it was GEL 10 204 (although it is an average indicator and the level of inequality should be considered). Of course the state debt is not the

only factor of economic development, but it is necessary to use it efficiently, so that the final result should be the support of the real sector.

In recent years infrastructure has been significantly improved in the country, but the level of national production is still low, which is indicated by the fact that economic growth significantly depends on the increase of the state budget. In this case, the economy is growing with the help of debt and not so much with the help of its immanent structural shifts. For instance, in 2017 the accretion of the state budget, comparing to the previous year, was higher than the real gross domestic product. In 2017 inflation was defined at 6,7%.

Since the annual budget is necessary to ensure that economic growth does not change, the country is forced to plan budget deficit every year since the overall balance of the budget is negative. The main reason for the adverse budget is the growth of non-financial assets.

Implementation of energy projects and improving infrastructure is not enough. The trends of the recent years in export-import indicators have clearly confirmed it. Nevertheless, the received loans are still used in this direction. In our opinion, the state forced debt is better to be spent on increasing the country's export potential more deliberately. In this regard, due to the experience of the past years, it is necessary to apply finances not only to regulate infrastructure, but also the state itself should take particular risks, which can be expressed in the purchase of industrial purpose goods for entrepreneurs, which will serve as a prerequisite for reducing additional financial costs and risks for private sector.

Although the state debt to the gross domestic product is not too high (43%) and many other developed countries have a much harder situation in this respect (e.g., Japan - 253%, USA - 105%), however, the economic growth rate along with sharp growth effect should be taken into consideration on the one hand, and structurally development of economics on the other hand. That is why, mechanically, we do not think it is wrong to compare the burden of state debt in different countries. Consequently, the state debt pressure of each country should be assessed as a result of deep economic analysis. The mentioned percentage indicator for Georgia is, in our view, already warning.

ბონდო გასვიანი
თსუ დოქტორანტი

**სამეწარმეო ორგანიზაციის განვითარების ეტაპები და ზრდის
მიმართულებები**

რეზიუმე. სტატიაში განხილულია “ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლების” თეორიების ისტორია და მნიშვნელობა. დეტალურად განხილული, შედარებული და გაანალიზებულია ორი ძირითადი მოდელი. ამასთანავე, ქართულ რეალობაში მოდელების პრაქტიკული გამოყენების ადეკვატურობის დადასტურების მიზნით განხორციელდა შესაბამისი კვლევა. კერძოდ, შერჩევით გამოიკითხა 100 ქართული საწარმო და დადგინდა მათი განვითარების მიმდინარე საფეხური, რამაც შექმნა ზოგადი სურათი ქვეყანაში მოქმედი კომპანიების ორგანიზაციული განვითარების დონესა და ძირითად ორგანიზაციულ პრობლემებზე.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული განვითარება, ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლები.

შესავალი

დღესდღეობით ორგანიზაციულ განვითარებას ეთმობა დიდი ყურადღება. როგორც წესი, ამ ცნების ქვეშ იგულისხმება მენეჯერების მიერ განხორციელებული გარკვეული მიზანმიმართული ცვლილებები ორგანიზაციის ეფექტურობის გასაზრდელად. ზოგიერთი ორგანიზაცია, სხვებთან შედარებით, ვითარდება უფრო წარმატებულად და დინამიურად, ზოგიც თითქოს გაჩერებულია - განიცდის სტაგნაციას, სხვები კი მუდმივად აწყდებიან გარკვეულ დაბრკოლებებს.

1950 წელს კენეტ ბოულდინგის [Lorena, 2016:35] მიერ პირველად იყო შემოთავაზებული გაგება - “ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლები”, მას შემდეგ მენეჯმენტის, მარკეტინგის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, სახელმწიფო მმართველობის სკოლებმა დაიწვეს ამ თეორიის განხილვა და განვითარება. სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორმა ჯ. გარდნერმა 1965 წელს გამოცემულ სტატიაში - “როგორ აღვკვეთოთ ორგანიზაციის ღპობა”, აღნიშნა: „ორგანიზაციებს, როგორც ადამიანებს და მცენარეებს, აქვთ საკუთარი სასიცოცხლო ციკლი. ისინი გადიან მწვანე-მოქნილი ახალგაზრდობის, გაფურჩქვნა-აყვავების და სიბერის პერიოდებს. ორგანიზაციებს შეუძლიათ განვლონ ახალგაზრდობიდან სიბერემდე პერიოდი რამდენიმე ათწლეულში ან იარსებონ საუკუნეები“. [Gardner, 1965:20] ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზაციები, განვითარების პერიოდში, კრიზისების გადალახვით, გადადიან განვითარების ახალ საფეხურზე, აღწევენ უმაღლეს მწვერვალს და კვდებიან.

XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა ორგანიზაციის განვითარების არაერთი მოდელი, სადაც ის აღიქმებოდა „პიროვნებად“, ხოლო მისი განვითარება “ცოცხალი ორგანიზმის” ზრდად.

სხვადასხვა მკვლევარის მიერ განვითარების ეტაპების რაოდენობაც განსხვავებულია და მერყეობს 3-დან 10-მდე (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი N 1. სასიცოცხლო ციკლების ტაქსონომია დ ეტაპების რაოდენობა

ეტაპების რაოდენობა	ავტორები
3	Lippitt and Schmidt (1967); Smith, Mitchell and Summer (1985)
4	Kazanjian and Drazin (1989); Kimberly (1979); Lyden (1975); Quinn and Cameron (1983); Steinmetz (1969)


5	Greiner (1972); Hanks; Miller and Friesen (1984); Penrose (1952); Watson, Scott and Bruce (1987); Jansen and Chandler (1993)
6	Churchill and DLewis (1983)
10	Adizes (1979)

წყარო: Selvarajah, C., Muthaly, S., 2011. Investigating the firm life-cycle theory on Australia SMEs in the ICT Sector,” by Pereneyi. “Journal of Asia Entrepreneurship and Sustainability”.

უფრო მკაფიო წარმოდგენა რომ შეგვექმნას სასიცოცხლო ციკლების თეორიის შესახებ, დეტალურად განვიხილოთ, გავაანალიზოთ და შევადაროთ ორი ძირითადი მოდელი.

კომპანიის სასიცოცხლო ციკლების და განვითარების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ჰარვარდის ბიზნეს - სკოლის პროფესორის ლარი გრეინერის „კომპანიის ევოლუციური განვითარების მოდელი“ [Larry Greiner, 1973], რომელიც შემუშავდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. გრეინერი გამოყოფს კომპანიის ევოლუციის ხუთ ეტაპს: ზრდა კრეატიულობით, ზრდა დელეგირებით, ზრდა კოორდინაციით და ზრდა კოლაბორაციით, რომელსაც უწოდებს „ზრდის სტადიებს“ (იხ. დიაგრამა 1). კომპანიის ზრდის ყოველ ეტაპს გააჩნია მკაფიოდ გამოკვეთილი 2 ფაზა: ევოლუციური და რევილუციური განვითარება. ევოლუციური განვითარების დროს გაყიდვები და შემოსავალი იზრდება ეტაპობრივად. რევილუციური განვითარების პერიოდში კომპანიაში ადგილი აქვს შიდა კომფლიქტებს, რაც ხდება ამოცანებისა და მმართველობის შეუსაბამობის მიზეზი. გაყიდვებმა და შემოსავალმა შეიძლება იკლოს, თუმცა შემდგომ ისევ შეძლოს ზრდის ტენდენციის შენარჩუნება. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული სტადია იმავე დროულად არის წინა სტადიის გაგრძელება და მომდევნო სტადიის გამომწვევი მიზეზი. თითოეული პერიოდი ხასიათდება შესაბამისი მმართველობის სტილით და მოიცავს ეტაპისთვის დამახასიათებელ მმართველობით პრობლემებს, რომელიც უნდა გადაიჭრას, შემდეგ ეტაპზე გადასვლამდე, კომპანიის ზრდის შესანარჩუნებლად.

დიაგრამა 1. ლარი გრეინერის კომპანიის ევოლუციური განვითარების მოდელი



წყარო: Larry Greiner - “Organizational growth model” (1973).

უფრო ვრცლად განვიხილოთ თითოეული პერიოდი:

1) **ზრდა კრეატიულობით.** წარმოადგენს კომპანიის ჩასახვას იდეურ დონეზე. ამ ეტაპზე იდეის ავტორი ცდილობს, ხორცი შეახას საკუთარი შთაგონების ნაყოფს, ქმნის გუნდს და არწმუნებს მის წევრებს მომავალ წარმატებაში. აღნიშნული სტადიისთვის დამახასიათებელია მძიმე შრომა და დაბალი ანაზღაურება, ხშირად ერთუხიაზმზე მუშაობაც კი. თანდათანობით კომპანია იწყებს ზრდას და მეწარმე კარგავს უშუალო კონტროლს ქვეშევრდომებზე. ჩნდება პროფესიონალი მენეჯერების მოთხოვნილება და აქტუალური ხდება მათზე უფლებამოსილებების დელეგირების საკითხი. დგება ლიდერობის კრიზისი.

2) **ზრდა დირექტივებით.** აღნიშნულ ეტაპზე ყალიბდება ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც თანმიმდევრობით არის გაწერილი ფუნქციები და პასუხისმგებლობები თითოეული პოზიციისთვის. ჩნდება ფორმალური კომუნიკაციების სისტემა, ინერგება წახალისების და დასჯის მექანიზმები და საბოლოო ჯამში, იქმნება კონტროლის სისტემა. ორგანიზაცია იწყებს დივერსიფიცირებას და განვითარებას. მიუხედავად ამისა, მკაცრი ფუნქციური სისტემა ავლენს საკუთარ მინუსებს - ქვედა დონეებზე ჩნდება ინფორმაციის ნაკლებობა. კრიტიკულ სიტუაციაში, ოპერატიული რეაგირებისათვის, გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება იზღუდება. დგება ავტონომიურობის კრიზისი.

3) **ზრდა დელეგირებით.** ამ სტადიაზე ხდება ორგანიზაციული სტრუქტურის დეცენტრალიზაცია, რაც გამოიხატება ცალკეული ბიზნეს ერთეულების და გეოგრაფიული მიმართულებების ხელმძღვანელებისათვის ძალაუფლების მინიჭებით. შუა რგოლის მენეჯერებს დელეგირებული აქვთ საკმარისი ძალაუფლება პროდუქციის გასავითარებლად და ახალ ბაზარზე შესასვლელად. ამ ეტაპზე კომპანიის ზედა მმართველ რგოლს ყურადღება გადააქვს საერთო სტრატეგიულ განვითარებაზე, რაც იწვევს გაზრდილ და გართულებულ ორგანიზაციაზე კონტროლის თანდათანობით კარგვას. ერთეულების ხელმძღვანელები, ხშირ შემთხვევაში, კარგავენ მეტ დროს საკუთარი მიზნების მისაღწევად, რაც შეიძლება საერთოდ არ წარმოადგენდეს კომპანიის მიზნებს. ამასთანავე, როგორც წესი, მათი შეცვლა სწრაფად და მარტივად არც თუ ისე ადვილია, რის გამოც ჩნდება კონტროლის კრიზისი.

4) **ზრდა კოორდინაციით და მონიტორინგით.** საქმიანობის კოორდინაცია გულისხმობს ავტონომიური ერთეულების გაერთიანებას პროდუქტულ (დარგობრივ) ჯგუფებში. ამ სტადიაზე მნიშვნელოვნად ფართოვდება სათაო ოფისი, სადაც ხდება გეგმის შექმნა და მისი შესრულების კონტროლის სისტემების შემუშავება, თუმცა ძირითადი საწარმო გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება რჩება დანაყოფების პრეროგატივად. ამ ეტაპზე, ორგანიზაცია დგება პრობლემის წინაშე, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ რთული დაგეგმარებითი, ფინანსების გადანაწილების და გადატვირთული კონტროლის სისტემები იწვევს მოვლენებზე რეაქციის შემცირებას და ორგანიზაციული ეფექტურობის დონის ვარდნას. სახეზეა გაჭიანურების კრიზისი.


5) **ზრდა კოლაბორაციით.** ორგანიზაცია აცნობიერებს მთელი მმართველობითი და ორგანიზაციული სისტემის ბიუროკრატიულობას და თანდათანობით ცდილობს, გახადოს ის მოქნილი. ყალიბდება და ინერგება კონსულტანტების/მრჩეველების ინსტიტუტი, რომლებიც ეხმარებიან ხელმძღვანელობას პროფესიონალური რჩევებით. ნებისმიერი ახალი იდეა წახალისდება და ხდება ძველი სისტემის კრიტიკა. ცენტრალური ოფისი რაოდენობრივად მცირდება და მუდმივი კონტროლის დონე კლებულობს. ამ ეტაპზე, თეორიულად შესაძლებელია მატრიცული სისტემის შემოღება.

აღსანიშნავია, რომ 1998 წელს გრეინერმა დაამატა მეექვსე ეტაპი - „ზრდა ალიანსების შექმნით“, ხოლო მეხუთე სტადიის კრიზისი განსაზღვრა „ზრდის კრიზისად“.

ფაქტობრივად გრეინერის მოდელი აგებულია ორ ფაქტორზე, ორგანიზაციის სიდიდესა და მის ასაკზე. ავტორის დაშვებით, კომპანია იზრდება წლების განმავლობაში, მაგრამ მოდელში არ არის იდენტიფიცირებული, თუ რა დრო სჭირდება მას ამისთვის. რეალურად, აღნიშნული ფაქტორები ყოველთვის არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწრაფად მზარდ სამეწარმეო მიმართულებებში კომპანიები შედარებით უფრო მოკლე დროში გადაიან ევოლუციის სხვადასხვა სტადიებს. მიუხედავად ამისა, ეს გაგვენას არ ახდენს კომპანიის ზომასზე.

გრეინერის იდეა განავითარა იშაკ ადიზესმა. მისი აზრით, ორგანიზაციული განვითარების დინამიკას აქვს ციკლური ხასიათი, მსგავსად ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური სისტემის უმრავლესობის ფუნქციონირებისა. ადიზესის მოდელის მიხედვით, ორგანიზაციის სიცოცხლის პროცესში შესაძლებელია, გამოიყოს ათი თანმიმდევრული, კანონზომიერი ეტაპი (იხ. დიაგრამა 2):

დიაგრამა 2. კომპანიის სასიცოცხლო ციკლი ი.კ. ადიზესის მიხედვით



წყარო: <http://adizes.com/lifecycle/>

1) **ჩასახვა** - მუცლად ყოფნის პერიოდი - პირველი ეტაპია, რომელიც გულისხმობს კომპანიის შექმნას მხოლოდ იდეურ დონეზე. იდეის შემოქმედი ამ ეტაპზე ეძებს შესაბამის გუნდს, რომელიც თანდათან ხვდება მისი იდეის არსს, თვლის მას მისაღებად და თანხმდება გარისკოს ამ იდეის განხორციელება.

2) **ჩვილობა**. განვითარების ამ ეტაპზე კომპანიას ჯერ არ გააჩნია ჩამოყალიბებული სტრუქტურა და გამიჯნული უფლება-მოვალეობების სისტემა, მაგრამ ამ პერიოდში იწყება ორგანიზაციული პროცესი, იდეიდან პრაქტიკულ მოქმედებებზე გადასვლა. დიდი ყურადღება ეთმობა წარმოების შედეგებს და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

3) **ბავშვობა.** კომპანია იწყებს მუშაობას უფრო და უფრო პროდუქტიულად, პირველადი ბარიერების გადალახვით. გუნდი აცნობიერებს, რომ იდეა ამუშავდა და შეუძლია, იყოს ეკონომიკურად ეფექტური. ამ მოსაზრების საფუძველზე გუნდის წარმოდგენა კომპანიის მომავალზე იცვლება. მსოფლმხედველობა ფართოვდება და პრაქტიკულად მოიცავს უსაზღვრო პორიზონტებს. თუმცა, კომპანიაში მაინც არ არის ჩამოყალიბებული სტრუქტურა, მოწესრიგებული სუბორდინაციის საკითხი და არ არსებობს მკაცრად გამიჯნული ფუნქციური უფლება-მოვალეობები.

4) **ყმაწვილობა.** ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კომპანიის სასიცოცხლო ციკლზე. ამ ეტაპზე კომპანია საგრძნობლად იცვლება. შემოქმედი აცნობიერებს, რომ მზარდი ბიზნესის მართვო გაკონტროლება შეუძლებელია. ჩნდება კომპანიის სტრუქტურის ჩამოყალიბების და უფლებამოსილების დელეგირების მოთხოვნილება. ორგანიზაციაში ჩნდებიან პროფესიონალი მენეჯერები, რომლებიც იწყებენ სტრუქტურის ცვლილებას, განახლებული სამოტივაციო და კონტროლის სისტემების დანერგვას. ხდება ახალი თანამშრომლების მიღება, რაც იწვევს ორი „კულტურის“ კონფლიქტს, ძველი და ახალი სპეციალისტების დაპირისპირებას.

5) **გაფურჩქვნა.** გაფურჩქვნის სტადიაზე ორგანიზაციას აქვს შედარებით ჩამოყალიბებული სტრუქტურა, გაწერილია ფუნქციები, არსებობს წახალისებისა და დასჯის სისტემა. ორგანიზაციის მოქმედების წარმატება ფასდება კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილების და დასახული მიზნების მიღწევადობის ფაქტორების მიხედვით. არც თუ ისე იშვიათად, ამ ეტაპზე, ორგანიზაცია ხსნის შვილობილ კომპანიებს, რომლებიც თავიდან გაივლიან განვითარების სასიცოცხლო სტადიებს.

6) **ვარდნა** წარმოადგენს კომპანიის დაბერების პირველ სტადიას, როდესაც ის თანდათანობით სცილდება სწრაფი განვითარების, ახალი ბაზრების დაპყრობისა და არსებულ ბაზარზე გაფართოების ტენდენციას. კომპანია არ მიისწრაფვის ცვლილებებისკენ და მეტ მნიშვნელობას ანიჭებს პირადი ურთიერთობების მოგვარებას კოლექტივში, ვიდრე ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენას და ანალიზს.

7) **არისტოკრატია.** კომპანია ფლობს საკმარის ფინანსურ რესურსებს, რომლებიც იხარჯება არსებული კონტროლის სისტემის და საქმიანობის მოწყობის შესანარჩუნებლად. ჩნდება არაფორმალური ოფიციალური წესები, დაკავშირებული, პირველ რიგში, ჩაცმის სტილთან და მსგავს ტრადიციებთან, რომელსაც პრაქტიკულად არ გააჩნია რაციონალური საფუძველი. კომპანია ცდილობს შეიძინოს ინოვაციები, ახალი საქონელი და იდეები იმ კომპანიების შესყიდვით და შთანთქმით, რომლებიც იმყოფებიან განვითარების ადრეულ საფეხურებზე.

In emerging market countries international monetary fund's role is quite critical in promoting the success of inflation. As a precondition of inflation targeting is considered existence of financial dollarization, according to which floating exchange rate may be dangerous and cause financial instability. According to the importance of price stability for the country's economic growth it is important to use monetary policy, which is responsible for maintaining price stability. The exchange rate related studies have shown that one of the main features of the inflation targeting regime is a floating exchange rate.

First of all, we have outlined some key preconditions for inflation targeting that need to be taken into account, these are: medium term numerical targets for inflation, commitment to price stability as the primary goal of monetary fund and the independence of the central bank. The inflation performance is found to be the best for the countries with the most independent central banks; under the independence we mean that the central bank needs to be prohibited from funding government deficits, the monetary policy board has to be insulated from the political processes and the monetary policy instruments has to be set up without interference from the government.

In Georgia, under the monetary policy regime the inflation target level is announced in advance, which will be maintained in the medium term. The national bank of Georgia determines the level of targeted inflation and the main goal is to define the optimal level of inflation. One of the advantages of inflation targeting is transparency and the simplicity of communication with the public, to which the central bank also gives the great importance. When defining the optimal level of inflation, there are several factors that need to be taken into account by the monetary policy committee. First of all, the prices of the various products that are included in the consumer basket do not change proportionally. As we need to use consumer price index (CPI) for estimating inflation, we have to note that the CPI is characterized by several biases, such as: substitution bias, quality bias and the new product bias. The first bias means that the CPI measures changes in price levels indirectly; it does not take into account consumer preferences when price changes take place. The second bias is connected with the quality of goods and services, which gets improved over time and therefore, it leads to the price increases; in this case as well, the CPI does not reflect inflation attributed to quality changes. The third, new product bias means that the new products permanently enter the market and substitute the old ones.

High inflation is characterized by large fluctuations and it is difficult to predict the country's economic growth in the long run. Therefore, price stability is the fundamental factor for the country's sustainable economic growth. In the long run the desirable rate of inflation in Georgia is 3%. It should be noted that in Georgia before 2018 the inflation target level was

more than 3%, by which are characterized developing countries; high levels of inflation is mainly caused by a rapid growth in productivity.

Overall, the emerging market countries have greater concerns about exchange rate fluctuations than advanced countries. They are more likely to find that depreciations lead to a rise in inflation as a result of higher import prices and greater demand for exports. In emerging countries much of their debt is denominated in foreign currency and because of currency depreciation the debt burden of domestic firms increases.

However, an increasing number of emerging market countries are adopting inflation targeting as their monetary policy regime. One of the main preconditions for inflation targeting is the existence of financial dollarization, during which the floating exchange rate can be a real threat. Let us consider an emerging market countries where debts are denominated in dollars and the firms depend on local currency. In this case, private sector and banks' balance can be sensitive to the nominal and real exchange rate shifts.

To summarize, based on the basic principles of inflation targeting, price stability is the main concern of the monetary policy. In terms of the floating exchange rate, emerging market countries are more sensitive compared to the advanced countries. Overall the inflation targeting can be an effective tool for emerging market countries to manage their monetary policy, however emerging market countries would benefit by focusing more attention to the institutional development.

**ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდაზე
იმპორტი და ექსპორტის სტიმულირება**

რეზიუმე. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა ხერხებს, რათა გაზარდონ ადგილობრივი წარმოება და მიაღწიონ დადებით სავაჭრო ბალანსს. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდია საერთაშორისო ვაჭრობის როლი. სწორედ ამ კუთხით განიხილება ადგილობრივ წარმოებაზე მოქმედი ორი ალტერნატიული სტრატეგია: 1. იმპორტის ჩანაცვლება; 2. ექსპორტის სტიმულირება.

სტატიაში განხილულია თითოეული სტრატეგიის არსი და შეფასებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის მნიშვნელობაზე და მასზე მოქმედ ფაქტორებზე. გაანალიზებულია ექსპორტის სტიმულირების პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა წარმოების ზრდის შესაძლებლობებზე.

ნაშრომში, ასევე, გაკეთებულია დასკვნები და რეკომენდაციები, თუ რამდენად უწყობს ხელს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირება ადგილობრივი წარმოების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: აგროსასურსათო პროდუქტი; ექსპორტის სტიმულირება; იმპორტის ჩანაცვლება; წარმოების ზრდა.

შესავალი

იმპორტის ჩანაცვლება წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს იმპორტის შემცირებას და მის ჩანაცვლებას ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტებით [1]. აღნიშნულის მისაღწევად ხდება ადგილობრივი წარმოების ზრდა და გრძელვადიან პერიოდში იმპორტირებული პროდუქტების შემცირება ადგილობრივ ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ჩანაცვლება არ გულისხმობს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის გაზრდას. იგი ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირებას და ქვეყანას საშუალებას აძლევს ბაზარზე არსებული მოთხოვნა უზრუნველყოს ადგილობრივი წარმოებით [2].

რაც შეეხება ექსპორტის სტიმულირებას, იგი გულისხმობს ადგილობრივი წარმოების ზრდით ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობას [3]. მკვლევარების აზრით, ექსპორტის სტიმულირება განვითარებად ქვეყნებს მასშტაბის ეკონომიით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. ხოლო ექსპორტის სტიმულირების პროგრამები ადგილობრივ მწარმოებლებს აძლევს სტიმულს თავინთი პროდუქტი არამარტო ადგილობრივ ბაზარს შესთავაზონ, არამედ განავითარონ ისინი ისე, რომ თავი დაიმკვიდრონ საერთაშორისო ბაზარზე. სტიმულირების პროგრამებით ხდება მწარმოებლების გადამზადება, მათთვის საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა და სხვა [4].

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ სტრატეგიას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, იმპორტის ჩანაცვლების მთავარ უპირატესობად ითვლება ის, რომ იგი იცავს ადგილობრივ წარმოებას; ხელს უწყობს ადგილობრივი პროდუქტების კონკურენციის ზრდას და ადგილობრივი მწარმოებლები უფრო მეტად ცდილობენ თავინთი პროდუქტის ხარისხის ამაღლებას; ზრდის ეკონომიკის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელს. ასევე, აღსანიშნავია, რომ იზრდება სოფლად დასაქმების მაჩვენებელი და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლები. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას და მდგრადობას [5].

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის მთავარი უარყოფითი ეფექტები, რომლებიც აქვს იმპორტის ჩანაცვლებას: 1. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მწარმოებლები კონკურენციის პირობებში ცდილობენ ხარისხის ამაღლებას, ისინი უფრო და უფრო შორდებიან საერთაშორისო სტანდარტებს ხარისხის კუთხით, რადგან ბაზარზე უმეტეს ნაწილს მხოლოდ ადგილობრივი წარმოება წარმოადგენს; 2. იმპორტის ჩანაცვლება დაკავშირებულია იმპორტის შეზღუდვასთანაც, რაც, თავის მხრივ, დამაბრკოლებელი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით. ამან შესაძლოა ეკონომიკურ კოლაფსამდე მიგვიყვანოს; 3. დიდია ჩრდილოვანი ბაზრის განვითარების საშიშროება; 4. იმპორტის შეზღუდვამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი ფასების ზრდა და სხვა [6].

რაც შეეხება ექსპორტის სტიმულირებას, მის დადებით მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ [7]:

1. საერთაშორისო ბაზრების ათვისება;
2. აგროსასურსათო პროდუქტების ხარისხის ზრდა საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;
3. დივერსიფიკაციის შესაძლებლობა;
4. ახალი ცოდნის და გამოცდილების მიღება;
5. აგროსასურსათო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გაფართოება და სხვა.

ექსპორტის სტიმულირების უარყოფით მხარეებად ეკონომისტები განიხილავენ: 1. დამატებით დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზრების შესწავლასა და მათზე გასვლაში; 2. ფინანსურ რისკს, რაც ახლავს პროდუქტის ახალ ბაზარზე დამკვიდრებას; 3. საექსპორტო რეგულაციებს; 4. კაპიტალის არარსებობას; 5. მალფუჭებადი აგროსასურსათო პროდუქტებისთვის საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სირთულეს [7].

რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელი სტრატეგია არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის უფრო მნიშვნელოვანი, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობა საწყის ეტაპზე ცდილობს გაზარდოს ადგილობრივი წარმოება, რაც გრძელვადიან პერიოდში ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპორტის სტიმულირებით ქვეყნები არ ზღუდავენ იმპორტს, თუმცა დადებითად ზემოქმედებენ სავაჭრო ბალანსზე, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას [8].

არსებული მდგომარეობის მიმოხილვა


კვლევის მიზანია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენით ადგილობრივი წარმოების ზრდის შესაძლებლობებისა და მასზე ექსპორტის სტიმულირების გავლენის დადგენა.

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია როგორც სამაგიდო, ისე თვისებრივი კვლევა. კვლევის პროცესში განხორციელდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დახარისხება და გაანალიზება. ასევე, თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუების მოდელი, გაანალიზებულია ექსპერტების გამოთქმული მოლოდინები. შედარებითი კვლევით დადგინდა კავშირი რეალურ მდგომარეობასა და მოსალოდნელ შედეგებს შორის.

აგროსასურსათო სექტორის განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში საკმაოდ მაღალია. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ 2012 წელს საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულ დარგად სწორედ სოფლის მეურნეობა გამოაცხადა და აქტიურად დაიწყო მუშაობა ამ სექტორის განვითარებისთვის [9].

2011-2017 წლებში საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტს მზარდი დინამიკა აქვს (გამონაკლისია მხოლოდ 2014-2015 წლები), რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე. 2017 წლის მონაცემებით


უარყოფითი საღლო თითქმის ორჯერ არის შემცირებული 2011 წელთან შედარებით (დიაგრამა 1) [9].



დიაგრამა 1. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)¹⁷

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2014-2015 წლებში ექსპორტი შემცირდა. ეს შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმ სტრუქტურული ცვლილებებით, რაც საქართველოს შეექმნა დსთ-ს სივრცეში უმსხვილეს ბაზრებთან დაკავშირებით. ასევე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა გამოიწვია ექსპორტის დივერსიფიკაციის ზრდა საქსპორტო პროდუქტების კუთხით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბაზრების დივერსიფიკაციასაც, ერთი მხრივ ექსპორტი შემცირდა დსთ-ს სივრცის ქვეყნებში, თუმცა გაიზარდა ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში [10].

2017 წლის მონაცემებით ძირითადი სასაქონლო პოზიციებს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში შემდეგი სახე აქვს (დიაგრამა 2) [9]:




დიაგრამა 2. ძირითადი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში, 2017 წელი (მილიონი აშშ დოლარი)¹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულ აგროსასურსათო პროდუქტებში საწყის ადგილებზე არის ნედლი და გადამამუშავებული

¹⁷ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017

¹⁸ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017

თხილი, შემდეგ სპირტიანი სასმელები და ღვინო. ასევე მნიშვნელოვანია ხილის და ბოსტნეულის წველების ექსპორტი აღნიშნულ ქვეყნებში (დიაგრამა 3) [9].



დიაგრამა 3. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქტია 2017 წელი, (მილიონი აშშ დოლარი)¹⁹

დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევიდან გამოვლინდა ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდას:

1. იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელება (მწარმოებლებს იძულებულს ხდის გაზარდონ წარმოება და დააკმაყოფილონ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა);
2. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
3. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
4. ექსპორტის სტიმულირების პროგრამების განხორციელება და სხვა.

კვლევით გამოვლენილია, რომ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდა ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაზრდას, ხოლო ექსპორტის სტიმულირება განვითარებადი ქვეყნებისთვის ერთ-ერთი ბერკეტია, რათა დაძლიონ ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები [11]. სწორედ ამისთვის გამოიყენება ექსპორტის სტიმულირების სხვადასხვა მექანიზმი [8]:

1. ექსპორტის სუბსიდირება;
2. საერთაშორისო ვაჭრობის შემაფერხებელი ბარიერების მოხსნა;
3. გაცვლითი კურსების ეფექტიანი მართვა და სპეციალური ფინანსური სერვისების შექმნა;
4. ექსპორტის დაკრედიტება და დაზღვევა.

ასევე უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს როლი საექსპორტო საქმიანობის განვითარებაში. იგი განსაკუთრებით დიდია ეკონომიკურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებაში, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის ექსპორტის სტიმულირებას [12].

საქართველო გაწვევრიანებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც ექსპორტის სტიმულირებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ასევე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან, რაც ქმნის მწარმოებლებისათვის ექსპორტის გაზრდის სტიმულს [13].

¹⁹ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017

საერთაშორისო ბაზრების გახნას ხელი შეუწყო, 2014 წელს ევროკავშირთან ღრმა და ყოველსმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გაფორმებამაც. აღნიშნული შეთანხმება ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზრებს და სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, გულისხმობს არამართო საქონლით, არამედ მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციასაც [14; 15].

CFTA-ს ამოქმედება საქართველოს მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისთვის ზრდის, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოების ზრდას, საექსპორტო პროდუქციის განვითარებას, ადგილობრივი პროდუქტის ხარისხის ზრდას, დასაქმების ზრდას და სხვა. ყოველივე ზევით აღნიშნული დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე და ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

გამოვლენილია ექსპორტის ზრდის შემზღვეველი ფაქტორები:

1. რესურსების შეზღუდულობა;
2. საექსპორტო პროდუქტების მიწოდების ჯაჭვის არაორგანიზებულობა;
3. საერთაშორისო გამოცდილების არქონა;
4. ადგილობრივი პროდუქციის დაბალი ხარისხი;
5. მარკეტინგული აქტივობების არასწორი დაგეგმვა;
6. ფინანსური რესურსების არქონა;
7. უცხოური ინვესტორების ინტერესის ნაკლებობა განვითარებადი ქვეყნების მიმართ და სხვა.

მიუხედავად ექსპორტის ზრდის მრავალი შემზღვეველი ფაქტორისა კვლევამ საკმაოდ დადებითი შედეგები დაგვანახა. ანალიზიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ადგილობრივი წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად მოქმედებს იმპორტის ჩანაცვლებაზე;
2. ექსპორტის სტიმულირების პროგრამები ზრდიან ადგილობრივ წარმოებას, თუმცა წარმოებული პროდუქტი განკუთვნილია საერთაშორისო და არა ადგილობრივი ბაზრისთვის;
3. ექსპორტის სტიმულირება ზრდის ხარჯებს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში, ექსპორტების აზრით, მოხდება ხარჯის ამოღება;
4. ექსპორტის სტიმულირებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ცოდნის და გამოცდილების მიღება;
5. ექსპორტის სტიმულირება ზრდის ადგილობრივ წარმოებას და დადებითად აისახება სავაჭრო ბალანსზე;
6. ექსპორტის ზრდა პოზიტიურ გავლენას ახდენს მთლიან შიდა პროდუქტსა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია შეამცირებს იმპორტის მაჩვენებელს, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. თუმცა, უფრო დიდი ეფექტი აქვს ექსპორტის სტიმულირებას. ამ შემთხვევაში სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის დაიკლებს და გრძელვადიან პერიოდში აგრარულ სექტორში დადებითი სავაჭრო ბალანსის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს.

ადგილობრივი წარმოების ზრდა და ექსპორტის სტიმულირება დადებით გავლენას ახდენს მთლიან შიდა პროდუქტზე, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი ორი ფაქტორი:

1. შედეგი ვრცელდება აგროსასურსათო სექტორის მთლიან შიდა პროდუქტზე და ხდება სხვა სექტორში მიმდინარე მოვლენების უგულებელყოფა;

2. აგროსასურსათო სექტორს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მშპ-ში, ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგროსექტორში სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება დადებითად აისახება საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტზე.

დასკვნის სახით შემუშავებულია ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ადგილობრივი წარმოების ზრდისა და ექსპორტის სტიმულირებისთვის:

1. შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა მოხდეს ადგილობრივი წარმოების ზრდა და ექსპორტის სტიმულირება;
2. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება;
3. ადგილობრივი პროდუქტების ხარისხის ამაღლება, რათა იგი შეესაბამებოდეს ევროპულ სტრანდარტებს;
4. ექსპორტის სტიმულირების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება, რომლებიც არამარტო ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების ზრდას, არამედ გაზრდის ექსპორტს;
5. ახალი ტექნოლოგიების შექმნა, რაც შეამცირებს ხარჯს და გაზრდის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Business Dictionary. <http://www.businessdictionary.com/definition/import-substitution.html>
2. Hirschman, O. Albert. 2009. The Political Economy of Import-Substituting Industrialization in Latin America. The Quarterly Journal of Economics. Vol. 82, No. 1 (Feb., 1968), pp. 1-32;
3. Business Dictionary. <http://www.businessdictionary.com/definition/export-promotion.html>
4. International Trade centre. 2009. Export Promotion and WTO. A brief guide. Geneva; N. C. Pahariya. 2008.
5. Import Substitution and Export Promotion as Development Strategies. Briefing paper. 25 Years CUTS International;
6. The disadvantages of import substitution. <https://prezi.com/4mkr5fpr9ngs/the-disadvantages-of-import-substitution/>
7. Tekle S. Advantages and Challenges of Exporting. <https://www.expertbase.org/a238-advantages-and-challenges-of-exporting>
8. ეთერ ხარაიშვილი, ნინო საღარეიშვილი, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამები და მათი ეფექტიანობა, 2016.
9. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017. წლიური ანგარიში.
10. ლაშა არევაძე, 2016. საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები. <https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export>
11. Kharaiashvili E., Diversification of Agribusiness and Rural Development Models in Georgia, IV International Scientific and Practical Conference “Strategic Imperatives of Modern Management,” 19-20 April, 2018. <http://ir.kneu.edu.ua/bitstream/2010/24417/1/5348.pdf>
12. პაატა ცაგარეიშვილი, 2013. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მექანიზმები. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000639/Dis.Tsagareishvili.P.pdf>
13. გიორგი ლალანიძე, 2014. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები.

14. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). <http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>
15. Kharaishvili E., Export-Import Potenzial landwirtschaftlicher Produkte zwischen Georgien und Deutschland: Modernität und Perspektiven, Deutsch-Georgisches Wissenschafts- und wirtschaftsforum, Berlin, 15.-18. Mai 2018.

Nino Sagareishvili
PhD student

THE FACTORS AFFECTING PRODUCTION OF DOMESTIC AGRICULTURAL GOODS AND EXPORT PROMOTION Expanded Summary

Countries use different strategies to develop domestic production and get positive trade balance. Economic development of the country highly depends on international trade. To make an in depth analysis of this topic, we can discuss two alternative strategies:

1. Import substitution;
2. Export promotion.

The paper overviews both strategies and determines its positive and negative aspects. It mainly concentrates on direct and indirect effects of export promotion on increase of domestic production.

Import substitution is a government strategy that stimulates increase of domestic production and substitutes import. It is worth mentioning that import substitution strategy does not mean increase of export of agricultural goods. It is beneficial for increasing employment rate, for decreasing demand on foreign currency and for giving an opportunity to the country to satisfy market demand by domestic production.

At the same time export promotion stimulates export. It gives producers an opportunity to satisfy not only market demand, but develop their products in such way that they can increase export. Promotional programs help producers to understand and implement international standards and get know-how from international producers.

As mentioned, both strategies have positive and negative sides. Main advantages of import substitution are the following: it protects domestic production, increases competitiveness of domestic production, stimulates producers to develop quality, and increases self-sufficiency of the economy.

At the same time export promotion gives an opportunity of diversification, getting know-how and experience from international producers, entering international markets and etc.

Agriculture is one of the most important sectors for Georgian economy and it takes an important role in Georgian Economy. Georgia produces agricultural products, but most of them are seasonal goods. Therefore, agricultural goods are imported during the whole year. Nowadays domestic production of agricultural goods is very low. Georgia imports agricultural goods from other countries. Georgian trade balance is negative, it means that import volume exceeds export volume and domestic production is not stimulated enough to increase export.

The main goal of the research is to discuss factors that stimulate an increase of domestic production of agricultural goods and to determine influence of export promotion activities on it.

Analyzing the data and current policies underline the factors that stimulate domestic production:

- Implementation of import substitution strategy;

- Sharing of international experience;
- Introduction of new technologies;
- Implementation of export promotion strategy and etc.

The analysis shows that problem of scarce resources can be overcome through stimulating productivity and promoting export. In order to stimulate export, the following methods are being used:

- Export subsidies;
- Remove international trade barriers;
- Create special financial services;
- Export finance and insurance.

Main conclusions from the research are the following:

- Georgia has a potential to increase domestic production;
- Increasing amount of domestic production can substitute import and promote export at the same time;
- Export promotion programs increase domestic production, but produced goods are for international market, not for local market;
- Export promotion increases costs;
- International knowledge and experience is needed to implement export promotion strategies;
- Increased export volume has positive impact on trade balance;
- Increased export volume has positive impact on GDP growth

The following recommendations are prepared for government and private sector as well:

- Develop export promotion strategy for short-run and long-run period;
- Buy new technology, which will decrease costs and increase the quantity of produced goods;
- Train the labor force to make them more experienced and competitive;
- Develop infrastructure to increase domestic production and promote export;
- Increase quality of agricultural products to satisfy International standards.

ალექსანდრე ნაჭყებია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**პერსონალის კონტროლინგის ადგილი და როლი კომპანიის
მენეჯმენტის სისტემაში**

რეზიუმე. თანამედროვე ორგანიზაციების წინაშე არსებული ამოცანების სირთულე და ხასიათი, მათზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების მრავალფეროვნება გარკვეულ პრობლემებს ქმნის მენეჯმენტის სფეროში. საზღვარგარეთის წარმატებული კომპანიების საქმიანობის ანალიზი ადასტურებს მჭიდრო კავშირს მართვის ეფექტიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნადაა განპირობებული მმართველობითი საქმიანობის მაღალი ხარისხით, კერძოდ, კონტროლინგის სისტემის ფართოდ გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს დაგეგმვის, აღრიცხვის, კონტროლის, ეკონომიკური ანალიზისა და საინფორმაციო ნაკადების სინთეზს.

საკვანძო სიტყვები: მართვის ინოვაციური მეთოდები, პერსონალის კონტროლინგის თანამედროვე ინსტრუმენტები, კონტროლინგის ფუნქციები, პერსონალის ეფექტიანი გამოყენება, პერსონალის მართვის პროცესების კოორდინაცია.

შესავალი

წარმოების პროცესში ტექნიკურდტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის კვალობაზე, სულ უფრო მეტად იზრდება ადამიანური რესურსების პროფესიულდკვალიფიციური მომზადების დონის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. შესაბამისად, ადამიანური რესურსები წარმოების განვითარების სტრატეგიული რესურსი ხდება. აქედან გამომდინარე, კომპანიის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მისი ეფექტიანი გამოყენება ორგანიზაციის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამასთან, ბაზრების გლობალიზაციისა და ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე, საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ტრანსფორმაცია, შრომის ბაზრის ფორმირების თანამედროვე ტენდენციები, ტექნიკურდტექნოლოგიური და ორგანიზაციის მართვის ინოვაციური მეთოდები გარდაუვლად მოითხოვენ პერსონალის მართვის პროცესში ახალი მიდგომების დანერგვის აუცილებლობას. ასეთ მიდგომად გვევლინება პერსონალის კონტროლინგი, როგორც მართვის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მართვის ცალკეული ქვესისტემების საქმიანობის კოორდინაციას და მართვის მთელ სისტემას წარმართავს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად.

თანამედროვე პერიოდში კომპანიების მართვის ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კონტროლინგს, რომელიც თავის თავში აერთიანებს აღრიცხვის, საინფორმაციო უზრუნველყოფის, კონტროლისა და კოორდინაციის ფუნქციას. ამასთან, კონტროლინგის პროცესის მეცნიერული კვლევა სულ უფრო აქტუალური ხდება. ამაზე მეტყველებს კონტროლინგის პრობლემების შესახებ არსებული სამეცნიეროდკვლევითი ლიტერატურის სიმრავლე. განსაკუთრებით, უცხოეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში.

საქართველოში ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ეკონომიკური სამეცნიეროდკვლევითი ხასიათის ლიტერატურა მეტად მწირია. თანამედროვე პერიოდში არ არსებობს კონტროლინგის ყველასათვის მისაღები განმარტება. მიუხედავად ამისა, ყველა აღიარებს, რომ კონტროლინგი მართვის ახალი კონცეფციაა, რომელსაც სათავე თანამედროვე მენეჯმენტმა დაუდო.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში კონტროლინგის პრობლემების კვლევის ორ ძირითად ამერიკულ (ანგლოდსაქსურ) და გერმანულ (ევროპულ) მიმართულებას განასხვავებენ. კონტროლინგის ამერიკულ კონცეფციაში მეტი ყურადღება ეთმობა კონტროლინგის ინსტრუმენტებს და პრაქტიკულ გამოყენებას, ხოლო გერმანულ მოდელში – კონტროლინგის პრინციპებისა და მეთოდების მეცნიერულ დასაბუთებას. ცალკეული მკვლევარების მოსაზრებით, კონტროლინგის საფუძვლების ფორმირება მჭიდროდაა დაკავშირებული მენეჯმენტის სკოლების წარმოშობასა და განვითარებასთან. აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში ანრი ფაიოლი მართვას განიხილავს, როგორც უნივერსალურ პროცესს, რომელიც შედგება ცალკეული ქმედებებისაგან, ამ ქმედებებს იგი უწოდებს მმართველობით ფუნქციებს, ხოლო თვით მართვის პროცესს წარმოადგენს ამ ფუნქციების ერთობლიობა. ფაიოლი გამოყოფს დაგეგმვის, ორგანიზების, ხელმძღვანელების, კოორდინაციისა და კონტროლის ფუნქციებს. შემდგომ კვლევებში ადგილი ჰქონდა მართვის ფუნქციების კიდევ უფრო გაღრმავებას. ასე, მაგალითად, ლუთერ გიულიკი გვთავაზობს „კონტროლის“ ფუნქციის დაყოფას „ადრიცხვად“ და „ბიუჯეტირებად“, რითაც იგი ფაქტიურად ეხება კონტროლინგის თანამედროვე ინსტრუმენტებს [.., 1983]. კონტროლს, როგორც მართვის განსაკუთრებულ სფეროს – განიხილავენ დ. ბოდდი და პ. პეიტონი [.., 1999].

კონტროლი მიმართულია წარსულში დაშვებული შეცდომებისა თუ წარმოშობილი პრობლემების გამოსავლენად. ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავე პირების გამოსავლენად. კონტროლინგი კი დ ესაა მომავლის მართვა საწარმოსა და მისი სტრუქტურული დანაყოფების გრძელვადიან პერიოდში ფუნქციონირებისათვის.

კონტროლინგის სისტემის გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როდესაც მართვის ფუნქცია დედეგირებულია საწარმოს ცალკეულ ქვედანაყოფებს შორის. ამ დროს კონტროლინგის საშუალებით მიიღწევა მაქსიმალურად დადებითი შედეგი.

შემდგომში კონტროლის ტრადიციული ფუნქციების განვითარებამ და გაფართოებამ განაპირობეს კონტროლინგის ფუნქციების წარმოშობა. ი. ვებერის თანახმად, კონტროლინგი დ ესაა „სოციალური სისტემის მართვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც თავის მხრივ, ხელმძღვანელობის მხარდაჭერ ფუნქციას ასრულებს მართვის სისტემის კოორდინაციის საერთო საქმეში, უპირველეს ყოვლისა, დაგეგმვაზე, კონტროლსა და ინფორმირებაზე აქცენტირებით“ [.., 2014].

ერთდერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კონტროლინგის პრობლემების კვლევისას აზრთა სხვადასხვაობა იწვევს, არის კონტროლინგის მიზნები. კონტროლინგის მიზანი გამომდინარეობს ორგანიზაციის მიზნებიდან, რომელთა შორის ორგანიზაციის შემდგომი წარმატებული განვითარების უზრუნველყოფა ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ მიზნის სარეალიზაციოდ ორგანიზაცია ცდილობს აწარმოოს ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელზეც ბაზარზე მოთხოვნის დონე მაღალი იქნება და, შესაბამისად, ადეკვატური ფინანსური სარგებელი მიიღწევა. კონტროლინგი ხელს უწყობს კომპანიის ფინანსური მიზნების მიღწევას დ ფინანსური შედეგების ოპტიმიზაციას. ამასთან, ორგანიზაციაში კონტროლინგის მთავარი ამოცანა საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, რეგულირებისა და კონტროლის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფაში, ინტეგრაციის, სისტემური ორგანიზაციისა და კოორდინაციის ფუნქციების შესრულებაში მდგომარეობს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონტროლინგი დ ესაა მომავლის მართვა საწარმოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების გრძელვადიან

პერიოდში ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. დასახული მიზნების მისაღწევად, საწარმოს მართვის მთელი სისტემის კოორდინაციით, ინტეგრირებითა და წარმართვით, კონტროლინგი ასრულებს „მმართველობითი საქმიანობის მართვის“ ფუნქციას და წარმოადგენს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სინთეზს. იმყოფება რა აღრიცხვის, ანალიზის, საინფორმაციო უზრუნველყოფის, კონტროლისა და კოორდინაციის გადაკვეთაზე (მიჯნაზე), კონტროლინგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საწარმოს მართვაში: იგი აკავშირებს ყველა ამ ფუნქციას, ახორციელებს მათ კოორდინაციასა და ინტეგრირებას. ამასთან, კონტროლინგი არ ჩაანაცვლებს საწარმოს მართვას, არამედ მხოლოდ გადაჰყავს იგი თვისებრივად ახალ დონეზე, ამით თავისებურ თვითმარეგულირებელ სისტემად გვევლინება საწარმოში [., 2003].

კონტროლინგის მიზნები საწარმოს მიზნებიდან გამომდინარეობენ. უმაღლესი მიზანი დ ესაა ორგანიზაციის შენარჩუნება და შემდგომი წარმატებული განვითარება.

კონტროლინგის კონცეფცია ორ ასპექტს მოიცავს: ერთის მხრივ, კონტროლინგი დ ესაა მმართველობითი პერსონალის აზროვნების წესი დ ფილოსოფია, რომლის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს გრძელვადიანი არსებობის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვა. მეორეს მხრივ, კონტროლინგის კონცეფცია დ ესაა იმ ინსტრუმენტების ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფილოსოფიის რეალიზაციას. ინსტრუმენტალური ასპექტი გულისხმობს, რომ კონტროლინგის სამსახური პასუხს აგებს მმართველობითი აღრიცხვის, დაგეგმვის, ეკონომიკური გაანგარიშებებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის მეთოდისა და ტექნიკის შემუშავებაზე.

კონტროლინგი, როგორც მართვის ინსტრუმენტი, ახორციელებს სამართავი სისტემის ცალკეული ქვესისტემების საქმიანობის კოორდინაციას ორგანიზაციის წინაშე არსებული მიზნების მისაღწევად. წარმოების განვითარების თანამედროვე მოთხოვნები კონტროლინგის გამოყენების ახალ სფეროებს წარმოშობს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პერსონალს. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან მიმართულებას პერსონალის კონტროლინგი წარმოადგენს. ა. პაპმელი აღნიშნავს, რომ „პერსონალის კონტროლინგი ემყარება პერსონალის მართვის სფეროში „ვიწრო ადგილების“ გამოვლენის მიზნით, მათ შორის გარე ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით, საგეგმო და ფაქტიური მანეჟმენტების შედარების საფუძველზე მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნის იდეას“ [Papmehl, 1990:34]. მოცემულ განმარტებაში პერსონალის კონტროლინგის არსი შემოიფარგლება პერსონალის გამოყენებით მხოლოდ გეგმიური და ფაქტიური მონაცემების შედარებით, რაც არასწორად მიგვაჩნია. ვთვლით, რომ პერსონალის კონტროლინგი მოიცავს ასევე დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზის ფუნქციებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება სავსებით გავიზიაროთ ე. პოთჰოფისა და კ. თრეშერის პოზიცია, რომლის თანახმადაც, „პერსონალის კონტროლინგი მოიცავს კონტროლინგის ყველა ამოცანას, როგორცაა: დაგეგმვა, კონტოლი და გადახრების ანალიზი, როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ დონეზე. ამასთან, განიხილება არა მხოლოდ დანახარჯები, არამედ მწარმოებლურობა (შედგებები) [Potthoff, 1986:25].

პერსონალის კონტროლინგის სისტემის უმთავრეს ამოცანას ორგანიზაციაში წარმოადგენს პერსონალის მართვის პროცესების კოორდინაცია და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საინფორმაციო უზრუნველყოფა, რათა ამაღლდეს პერსონალის მართვის ხარისხი ორგანიზაციაში. პერსონალის კონტროლინგი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ: პერსონალის მართვის სისტემის საწყისი მდგომარეობა, რომლისთვისაც პერსონალის კონტრო-

ლინგის სისტემის ამოქმედება აუცილებლობას წარმოადგენს. ასევე, შევიმუშაოთ და განვახორციელოთ პერსონალის მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებები.

პერსონალის კონტროლინგი შედარებით ახალი მიმართულებაა პერსონალის მართვის სფეროში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციის პერსონალთან მუშაობის სფეროში, ზოგადად, კონტროლინგის ინსტრუმენტების პირდაპირი გადატანა უნდა მოხდეს. პერსონალის კონტროლინგს თავისი სპეციფიკური რობა გააჩნია. ეს იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი მანევრებელი სუბიექტური ხასიათისაა და რიგი ხარისხობრივი მანევრებლების გაანგარიშება შეიძლება მეტად გართულდეს.

კომპანიის მენეჯმენტის პროცესში პერსონალის კონტროლინგის ადგილი და როლი სწორად რომ წარმოვიდგინოთ, აუცილებელია გავერკვეთ მის ფუნქციებში.

გამოყოფენ პერსონალის კონტროლინგის შემდეგ ფუნქციებს:

- საინფორმაციო უზრუნველყოფის ფუნქცია. იგი გულისხმობს საინფორმაციო სისტემის აგებას, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა აუცილებელი ინფორმაცია შრომის მწარმოებლობაზე, პერსონალზე გაწეულ დანახარჯებზე და სხვა. ამ ფუნქციის რეალიზება, როგორც წესი, ხდება საწარმოში პერსონალის მონაცემთა ბაზის შექმნით;

- საგეგმო ფუნქცია. იგი გულისხმობს საპროგნოზო, მიზნობრივი და ნორმატიული ინფორმაციის მიღებას. მაგალითად, ახალი პროდუქციის შემქმნელ მუშახელზე მოთხოვნა (რაოდენობა, კვალიფიკაციის დონე);

- მმართველობითი ფუნქცია. იგი გულისხმობს ნეგატიური ტენდენციების დასაძლევად ღონისძიებების შემუშავებას. მაგალითად, თუ ადგილი ექნება წლის განმავლობაში ერთი მუშაკის მომზადებისათვის საჭირო გეგმიურ დანახარჯებსა და ფაქტიურ დანახარჯებს შორის გადახრას, კონტროლინგის სამსახური რეკომენდაციას აძლევს კადრების განყოფილებასა და საფინანსო დეპარტამენტს განახორციელოს ბიუჯეტში შესაბამისი გეგმის კორექტირება;

- საკონტროლო-ანალიტიკური ფუნქცია. ეს ფუნქცია გულისხმობს მიზნების მიღწევის ხარისხის გაზომვას, პერსონალის მიხედვით დაგეგმილი და ფაქტიური მანევრებლების ანალიზს. თუ გადახრა არ სცდება კონტროლინგის სამსახურის მიერ გაანგარიშებულ დასაშვებ ნორმებს, მმართველობითი შემოქმედება არ განხორციელდება. იმ შემთხვევაში, როდესაც საპირისპირო ტენდენციას აქვს ადგილი, მაშინ აღნიშნული სამსახური მიმართავს საწარმოს შესაბამის ქვედანაყოფს და აცნობებს მას არსებულ მდგომარობას. მაგალითად, თუ კადრების დენადობა დასაშვები ნორმის ფარგლებშია (4-5%), მაგრამ შეიმჩნევა მისი ზრდის ტენდენცია, ამის შესახებ აუცილებელია ეცნობოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს შესაბამისი რეაგირებისათვის.

პერსონალის კონტროლინგის ფუნქციებს შორის უნდა გამოვყოთ ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდამჭერი და მაკოორდინირებელი ფუნქცია. ამ მიმართულებით სხვადასხვა დონეებზე არსებული მიზნების, მათი მიღწევის საშუალებებისა და მეთოდების კოორდინაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს ორგანიზაციის საბოლოო მიზნების მიღწევას.

პერსონალის კონტროლინგის ფუნქციას მიეკუთვნება ასევე ორგანიზაციის მუშაკებზე და საშუალო ადგილებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, შემოწმება და გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისათვის მიწოდება. აღსანიშნავია, რომ პერსონალის კონტროლინგის საინფორმაციო უზრუნველყოფა მიიღწევა ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, ნორმირების, აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის საშუალებით.

დაგეგმვის სფეროში კონტროლინგი საშუალებას გადალევს მოვასდინოთ სხვადასხვა გეგმების კოორდინირება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ასევე დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება. პერსონალის მართვის სისტემის დასაბუთებული საგეგმო მანეჯენტების შემუშავებითა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება საქმიანობის დაგეგმვა როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. ამასთან, კონტროლის ფუნქციის შესრულებით პერსონალის კონტროლინგი შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს დაგეგმილიდან ფაქტიური მანეჯენტების გადახრების ანალიზი, ამ გადახრების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა. შრომითი მანეჯენტების გადახრის სისტემატური კონტროლი შესაძლებლობას იძლევა მისიერად ვიმოქმედოთ პერსონალის მართვის სფეროში წარმოშობილ სუსტ ადგილებზე.

საბოლოოდ, პერსონალის კონტროლინგი ხელს უწყობს კონტროლის ჩანაცვლებას თვითკონტროლით, რაც მთლიანობაში განაპირობებს ორგანიზაციის მუშაკებს შორის მეტ ურთიერთგაგებასა და ურთიერთთანამშრომლობას, გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას დასახული მიზნების მისაღწევად.

დასკვნა

თანამედროვე პერიოდში კონკურენცია როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მწვავედება. კომპანიები ობიექტურად აღმოჩნდნენ მართვის თვისობრივად ახალი კონცეფციებისა და ინსტრუმენტების ძიების აუცილებლობის წინაშე. ერთდროით თანამედროვე მიმართულება მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის ზრდას წარმოადგენს კონტროლინგის სისტემა. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია პერსონალის კონტროლინგის სისტემას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს კომპანიის სტრატეგიული რესურსის დ პერსონალის ეფექტიანი გამოყენება.

კონტროლინგი – ესაა მომავლის მართვა საწარმოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების გრძელვადიან პერიოდში ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. დასახული მიზნების მისაღწევად, საწარმოს მართვის მთელი სისტემის კოორდინაციით, ინტეგრირებითა და წარმართვით, კონტროლინგი ასრულებს „მმართველობითი საქმიანობის მართვის“ ფუნქციას და წარმოადგენს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სინთეზს.

პერსონალის კონტროლინგი დ ესაა ადამიანურ რესურსებთან მუშაობის სფეროში შიდასაფორმო დაგეგმვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა „გარდაკვამნათ“ საგეგმო მანეჯენტები კონკრეტულ ღონისძიებებად, ასევე ჩამოვაყალიბოთ საწარმოში პერსონალის მართვის ძირითადი დებულებები. პერსონალის კონტროლინგის უმთავრესი ამოცანაა, განახორციელოს მუდმივი უკუკავშირი დაგეგმვასა და ანალიზს, ასევე მათში არსებულ გადახრებს შორის.

კონტროლინგის ორიენტაცია დაგეგმვასა და კონტროლზე გულისხმობს საინფორმაციო უზრუნველყოფის საფუძველზე, მის მიერ ამ ფუნქციების კოორდინაციას. ამასთან, თვითონ კონტროლინგი გადახრებზე რეაგირების შესახებ გადაწყვეტილებებს მიღების გზით უზრუნველყოფს სისტემატურ და ინტეგრირებულ უკუკავშირს მართვის სფეროში.

პერსონალის კონტროლინგის სისტემის უმთავრეს ამოცანას ორგანიზაციაში პერსონალის მართვის პროცესების კოორდინაცია და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საინფორმაციო უზრუნველყოფა წარმოადგენს, რათა ამადლდეს პერსონალის მართვის ხარისხი ორგანიზაციაში.

შედგე ხე ორიენტირებული პერსონალის კონტროლინგის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს პერსონალის მართვის სფეროში საქმიანობის შედეგების შესახებ

ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პრაქტიკულად მეტად რთულია ზუსტად განესაზღვროთ თითოეული მმართველობითი გადაწყვეტილების წვლილის შეფასება ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგებში. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში შედეგებზე ორიენტაციისას გამოყოფენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: შრომის მწარმოებლურობა, კადრების დენადობა, შრომის ანაზრაურების სტრუქტურის ცვლილება და სხვ.

ორგანიზაციაში კონტროლინგის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს საინფორმაციო ნაკადების სისტემა. საინფორმაციო ნაკადები დესაა ინფორმაციის გადაადგილება ორგანიზაციის ერთი საშტატო ერთეულიდან სხვა საშტატო ერთეულში. საინფორმაციო ნაკადების სისტემა, თავის მხრივ, წარმოადგენს საინფორმაციო ნაკადების კომპლექსს, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოს წარმართოს საფინანსოდეკონომიკური საქმიანობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საინფორმაციო ნაკადები საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მოახდინოს საქმიანობის ოპტიმიზაცია.

კონტროლინგის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს დაგეგმვა და კონტროლი წარმოადგენს. დაგეგმვის მთავარი მიზანია ორგანიზაციაში მწარმოებლურობის მაღალი დონის უზრუნველყოფა, მას წინ უსწრებს ანალიზისა და პროგნოზირების პროცესი, რომელთა საფუძველზეც ხდება მოქმედებათა ალტერნატივებიდან საუკეთესოს შერჩევა. იმ შემთხვევაში, როდესაც დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობს სისტემური მომზადების გარეშე, მაშინ ადგილი აქვს საგეგმო გადაწყვეტილებების ინტეგრირებად მიღებას. ასეთი გადაწყვეტილებები, კი, როგორც წესი, დიდი რისკის შემცველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pappmehl A. Personal-Controlling. Heidelberg (Sauer). 1990
2. Potthoff E., Trescher, K. Controlling in der Personalwirtschaft, Berlin-New York, 1986
3. Анискин Ю.П., Павлова А.М. Планирование и контроллинг: учебник.М.: Омега-Л, 2003.
4. Бодди Д., Пэйтон Р. Основы менеджмента: пер. с англ. / Под ред. Ю. Н. Каптуревского - СПб: Издательство «Питер», 1999
5. Вебер Ю., Шеффер У. Введение в контроллинг: пер. с нем./Под ред. и с предисл. С.Г.Фалько.- М.: Изд-во НП «Объединение контроллеров»,2014
6. Евенко Л.И. Организационные структуры управления промышленными корпорациями США (теория и практика формирования). - М.: Издательство «Наука», 1983

Alexandre Nachkebia

PhD candidate, Sokhumi State University

ON THE PLACE AND ROLE OF PERSONNEL CONTROLLING IN COMPANY'S MANAGEMENT SYSTEM

Expanded Summary

Nowadays competition is becoming more aggravated both at national and world market. Companies actually faced necessity of search of qualitatively new conceptions and instruments of management. One of the modern fields in the theory and practice of management providing increase of production effectiveness is system of controlling. Personnel controlling

system is especially important in it, invoked to efficiently employ personnel - the strategic resource of company.

Controlling – means future management for the purpose of operation of company and its structural subdivisions within long-term. In order to have achieved objectives under the coordination, integration and operation of entire system of company management the controlling fulfils “management function of governance” and is synthesis of record keeping, controlling and economic analysis.

Personnel controlling – it is the system of internal planning and control system in the field of employment with human resources, enabling “reform” of planning figures in specific measures, establishment of basic principles of personnel management in the company. The most important task of personnel controlling is to have carried out permanent feedback between planning and analyzing, also within its digressions.

Orientation of controlling on planning and control considers coordination of these functions by aforesaid under the basis of information provision. Herein, through decision making itself controlling about respond of digressions provides systematic and integrated feedback in the field of management.

The most important task of the system of personnel controlling is coordination of management procedures of personnel within the company and information provision on court decisions, in order to have increased the level of personnel’s management within the organization.

Principal objective of result-oriented personnel controlling is collection of information about results of their activity and its procession within the field of personnel management. Also, herein is to be mentioned that practically it is more difficult to have exactly determined assessment of each court decision in final results of organization’s activity. That is why, in such case upon orientation of results there are emphasized such figures, like: labor productivity, fluctuation of personnel, change of salary structure and etc.

The principal element of organization controlling system is the system of information flows. The information flows mean movement of information from one personnel unit to another personnel unit. The system of information flows itself is the complex of information flows enabling company to manage its financial and economic activity. In other words, the information flows enable organization to optimize its business.

Planning and controlling is the most important element of controlling system. The principal objective of planning is provision of high level of productivity at the organization, before it is the process of analysis and forecasting under that is selected the best one out of alternatives of activities. When planning process is carried out without systematic preparation, then planning decisions are intuitively made. As a rule such decisions involve great risk.

კონკურენცია საქართველოს აგროსასურსათო ბაზრებზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გამოწვევები

რეზიუმე. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებიდან, სოფლის მეურნეობის დარგს ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია²⁰. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა²¹ და შესაბამისად, არაერთი პროგრამა და პროექტი ხორციელდება დარგის ხელშესაწყობად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA) ახორციელებს ისეთ პროექტებს,²² როგორებიცაა: დანერგე მომავალი, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, აგროდაზღვევა და სხვ. აღნიშნული პროექტებით საწარმოო ჯაჭვის ყველა რგოლის განვითარება შესაძლებელია. ისინი მოიცავს, რევიზიების მიხედვით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას, გამრავლებას, გადამამუშავებელი ბაღების ჩანაცვლებას, გადამამუშავებას და უზრუნველყოფს დარგში ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. სახელმწიფოს გარდა, სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), სურსათის და სოფლის მეურნეობის გაეროს ორგანიზაცია (FAO) და სხვ. (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018).

სტატიაში განხილულია, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული პროგრამების დახმარებით საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა და გამოწვევების დაძლევა. ასევე, მიმოხილულია ის ძირითადი გამოწვევები, რაც სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდას აფერხებს.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, კონკურენცია, სასურსათო ბაზარი, კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

შესავალი


სოფლის მეურნეობის გაძლიერებისთვის განხორციელებული პროექტებისა და გამოყოფილი სახსრების მიუხედავად, სტატისტიკური მონაცემები არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია. 2017 წლის მონაცემებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა 0.8 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 8.2% (საქსტატი, 2018). ამასთან ერთად, 2017 წელს სექტორში უარყოფითი რეალური ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა (-4.1%). რაც შეეხება დარგში გამოშვებული პროდუქციის მოცულობას, იგი მზარდია, თუმცა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არც ისე მაღალი ტემპით იზრდება (2017 წელს გაიზარდა 2%-ით, 2016 წელთან შედარებით) (დიაგრამა 1).

²⁰ <https://www.ippmedia.com/en/features/importance-agricultural-sector-country%E2%80%99s-economic-development>

²¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020.

²² სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018.

დიაგრამა 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, 2006-2017



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, 2012 წლიდან მკვეთრად გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი და 2017 წელს 322 მლნ ლარი შეადგინა, რაც თითქმის ოთხჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტს 2011 წელს²³.

არსებული მონაცემების გაანალიზება ეჭვქვეშ აყენებს დარგში განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობას²⁴, ასევე, რამდენად სწორად ხდება დარგში არსებული შესაძლებლობების გამოვლენა და ამ მიმართულებით პროექტების განხორციელება და ინვესტირება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია 43%, რაც 735 ათას კაცს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მასში მნიშვნელოვანი წილი თვითდასაქმებულებს უკავიათ (98%)²⁵ ხოლო, ბიზნეს სექტორში სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასაქმებულთა რიცხვი 12 ათას კაცს აღემატება. დარგში შრომის მწარმოებლურობა არც თუ ისე მაღალია. სოფლის მეურნეობის სექტორში 2017 წელს, საშუალოდ, ერთ მუშაკზე 5329 ლარის ღირებულების პროდუქცია მოდის (საშუალოდ თვეში 444 ლარი), ხოლო ბიზნეს სექტორში, საშუალოდ, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ერთ მუშაკზე - 10920 ლარის ღირებულების პროდუქტი (საშუალოდ თვეში 909 ლარი).

2017 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 518 ლარს შეადგენს, არასახელმწიფო სექტორში კი - 693 ლარ., ხოლო ბიზნეს სექტორში სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 641 ლარს.

ძირითადი გამოწვევები

სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის ზრდის და დარგის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ ქვეყანაში ძირითადად იწარმოება პირველადი (გადაუმუშავებელი) აგროსასურსათო პროდუქცია და შედარებით ნაკლებად ხდება მეორადი წარმოება. შედეგად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარს, ძირითადად ნედლი სახის პროდუქცია მიეწოდება. იქიდან

²³ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018

²⁴ <http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2018-05-15-13-41-57>

²⁵ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.

გამომდინარე, რომ მეორად პროდუქციას უფრო მაღალი ღირებულება აქვს, სასურველია, საწარმოო ჯაჭვის ყველა რგოლის განვითარება.

ღარგის განვითარების შემთხვევაში, ჩნდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლების, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის ზრდის შესაძლებლობა. ამას ხელს შეუწყობს ისიც, რომ საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა სახის სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო შეთანხმებები²⁶. საქართველო არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი, აშშ-სთან, კანადასა და იაპონიასთან სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP). ასევე, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან, ევროკავშირსა და ჩინეთთან. 2002 წლიდან საქართველო სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ქვეყნებთან თანამშრომლობს თავისუფალი სავაჭრო ზონის პირობებში. 2014 წლიდან კი მოქმედებს ღრმა და ყოველისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის (DCFTA) შეთანხმება ევროკავშირთან.

არსებული შესაძლებლობების მიუხედავად, 2017 წლის მონაცემებით, ქართული პროდუქციის ექსპორტი თითქმის სამჯერ ჩამოუვარდება იმპორტის მაჩვენებელს. არც თუ ისე მაღალი ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ერთ-ერთი მიზეზი აღნიშნული პროდუქციის დაბალი ხარისხი და შესაბამისად დაბალი კონკურენტუნარიანობაა სხვადასხვა ბაზარზე. საპირისპიროდ კი აღნიშნული პროდუქცია მაღალ კონკურენციას განიცდის სხვა ქვეყნებისგან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

ცხრილში 1 მოცემულია ათი ყველაზე მსხვილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის მოცულობები და მათი დინამიკა. ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა: ხორბალი, შაქარი, ფრინველისა და ღორის ხორცი, რძე და რძის ნაწარმი და სხვ. კონკურენციას უწევენ ადგილობრივად წარმოებულ იმავე პროდუქციას. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში ვერ ხდება მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობის აღნიშნული პროდუქციის წარმოება, ქვეყანა ხდება იმპორტდამოკიდებული.

ცხრილი 1. ათი უმსხვილესი აგროსასურსათო პროდუქტის იმპორტის დინამიკა (მლნ ლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ხორბალი	108.9	105.1	174.1	184.2	240.0	184.8	151.8	119.4	86.1	98.2
შაქარი	66.0	50.4	74.2	92.9	84.5	67.4	57.9	49.3	65.5	67.6
ფრინველის ხორცი	44.8	37.2	48.0	66.1	69.8	71.4	72.2	53.0	58.4	61.7
შოკოლადი	49.7	42.9	46.6	50.5	53.1	61.6	59.6	47.0	50.6	53.3
კვების პროდუქტები	28.2	22.9	21.9	27.9	27.0	30.1	32.9	26.5	27.8	36.4
ზეთი	45.7	28.2	40.0	54.2	51.3	53.8	37.6	43.5	39.6	36.2
ღორის ხორცი	16.5	12.7	13.5	18.9	28.9	34.1	38.1	26.6	26.1	34.6
პური	25.4	19.2	22.4	29.2	30.1	32.7	34.0	29.9	30.5	34.6
საკონდიტრო ნაწარმი										
თევზი	26.6	22.5	26.9	30.9	33.7	35.3	31.2	27.1	26.4	28.1
რძე	14.9	11.7	15.7	17.6	17.0	21.4	21.7	16.5	17.9	24.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018.

²⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018.

ცხრილში 2 კი წარმოდგენილია ის ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომლის ექსპორტიც ხორციელდება საერთაშორისო ბაზრებზე. მათ შორისაა: ქართული ღვინო, თხილი და მინერალური წყალი. აღსანიშნავია, რომ ამ პროდუქციის გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულობამ ხელი შეუწყო ცხრილში მოცემული პროდუქციის წარმოების განვითარებას.

ცხრილი 2. ათი უმსხვილესი აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტის დინამიკა (მლნ ლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ღვინო	41.1	29.2	36.9	32.0	41.1	54.1	64.8	128.3	180.4	95.8
მინერალური წყალი	24.0	25.4	31.0	24.7	36.9	47.6	59.4	106.9	137.1	82.2
კაკალი	56.6	65.1	31.7	70.0	75.1	130.2	83.7	166.7	183.4	176.6
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.0	0.0	0.6	16.9	19.3	28.2	39.3	47.6	30.1	20.1
ცხვრის/თხის ხორცი	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	1.9	0.8	0.9	0.1
ლიმონათი	23.0	29.4	7.9	10.7	14.7	15.1	20.9	17.4	28.7	18.8
ფქვილი	0.0	0.3	0.2	0.8	2.7	1.9	0.8	13.5	15.7	10.7
ციტრუსების ნაყოფი	2.5	4.6	3.9	15.7	12.1	5.3	7.7	20.2	14.7	13.4
წვენები	2.8	13.6	8.4	2.9	6.2	6.3	12.6	7.4	10.6	7.5
დაფნა	1.4	2.1	2.2	2.6	3.8	3.6	4.8	5.2	7.0	8.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018.

ძირითადი გამოწვევები

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგროსასურსათო ბაზრებზე კონკურენციის ჩამოყალიბება. კონკურენცია აგროსასურსათო ბაზარზე სასარგებლოა როგორც მომხმარებლებისთვის, ისე მწარმოებლებისათვის. კონკურენციის შედეგად²⁷:

- მომხმარებლებს შეუძლიათ შეიძინონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია შედარებით დაბალ ფასად. კონკურენციის შედეგად ბაზარზე იკლებს ფასები, შესაბამისად, უფრო მეტ ადამიანს მიუწვდება ხელი ამა თუ იმ სოფლის მეურნეობის პროდუქტზე.
- მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, შეიძინონ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტი და მომსახურება. კონკურენციის შედეგად ფირმები ცდილობენ გააუმჯობესონ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი.
- მომხმარებლებს აქვთ უფრო მრავალფეროვანი და ფართო არჩევანი.
- ფირმები მიმართავენ ინოვაციებს მწარმოებლობის ზრდისთვის.
- ფირმები კონკურენტუნარიანები ხდებიან საერთაშორისო ბაზრებზეც.

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ქართული აგროსასურსათო პროდუქცია დაბალ კონკურენტუნარიანობაზეა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

მაგალითად, ბოსტნეულის სექტორში, პროდუქციის კონკურენტუნარიანობას აფერხებს საერთაშორისო სტანდარტები და მოთხოვნები, რომლებსაც ქართული ბოსტნეული ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს. ამასთან ერთად, ბარიერს წარმოადგენს ბოსტნეულის მცირე რაოდენობით წარმოება, რაც ბევრად ჩამორჩება იმ

²⁷ http://ec.europa.eu/competition/consumers/why_en.html

რაოდენობას, რა მოცულობაზეც არის საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნა (ე. ხარაიშვილი, ბ. გენბაია, გ. მამალაძე, 2018).

კონკურენტუნარიანობის კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების დონე. კვლევები²⁸ ცხადყოფს, რომ ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებში შემნახველ-გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირეა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია ძირითადად გადამამუშავების გარეშე მიეწოდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარს. შესაბამისად, მისი ღირებულებაც დაბალია. ამას ისიც ემატება, რომ პროდუქციის პირველადი წარმოებიდან მომხმარებელამდე მიტანამდე არ იქმნება მაღალი დამატებული ღირებულება.

სოფლის მეურნეობის ბაზარზე კონკურენციის ზრდას ადგილობრივი ფერმერებისა და მეწარმეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდაც შეუწყობს ხელს, რაც ამჟამად ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს (ე. ხარაიშვილი, 2018).

წარმოების განვითარებას ასევე ხელს უშლის მიწის ფრაგმენტაცია და მიწის რეგისტრაცია²⁹. მიწის ფრაგმენტაცია ხელს უშლის წარმოების გაფართოებას, დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოებას და გაყიდვას. ხოლო მიწის რეგისტრაცია წარმოადგენს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ ბარიერს, რადგან ამ შემთხვევაში მიწის, როგორც საბანკო უზრუნველყოფის, გამოყენება რთულდება.

დასკვნები და რეკომენდაციები

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, არსებობს გამოწვევების აღმოფხვრის და დაძლევის სხვადასხვა გზა. მცირე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რთულია წარმოებული პროდუქციის მოცულობით კონკურენციის გაწევა მსხვილი მწარმოებელი ქვეყნისთვის, როგორცაა, თურქეთი. სწორედ ამიტომ, სასურველია ნიშური პროდუქციის შერჩევა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო ბაზარზე, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მცირეშიწიანი ქვეყანაა, კოოპერაციის, გაერთიანების გზით შესაძლებელია გაცილებით დიდი რაოდენობით პროდუქციის მიწოდება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისათვის. ეს გაზრდის ბაზარზე კონკურენციას და ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობასაც.

საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების დანერგვა ადგილობრივ წარმოებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ზოგადად სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის. იგი გააუმჯობესებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხს, შესაბამისად, უფრო მიმზიდველს გახდის მას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე, ქართველი მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება მაღალი ხარისხის ქართული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე.

მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი გზა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და წარმატებული გამოცდილების გაზიარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტექნოლოგიები ხარჯებთანაა დაკავშირებული, იგი ზრდის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და მაღალი ამონაგების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს უკვე არაერთ ქვეყანასთან აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. მსგავსი შეთანხმებების არსებობა და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარების და დარგის კონკურენტუნარიანობის

²⁸ ატმის, მანდარინის, ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზები, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2018.

²⁹ <https://waset.org/publications/10002878/problems-faced-by-the-agricultural-sector-and-agribusiness-development-strategy-in-georgia>

ზრდის შესაძლებლობაა. სწორედ თავისუფალი ვაჭრობის შედეგად იზრდება კონკურენცია ადგილობრივ ბაზარზე. ასევე, ადგილობრივი კომპანიებისთვის საერთაშორისო ბაზრები გაცილებით ხელმისაწვდომი ხდება (შესაბამისი მოთხოვნებისა და სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში). აქედან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების პირობებში, ქვეყანაში შემოედინება უცხოური გამოცდილება, ინოვაციები, ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნა. სანაცვლოდ კი ხდება უფრო მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი, ქართული პროდუქციის წარმოება და მიწოდება, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ხარაიშვილი, ბ. გენზაია, გ. მამალაძე, „ბოსტნეულის ბაზარი: ქართული პროდუქტის კონკურენტული უპირატესობები და კონკურენციის გამოწვევები“, 2018.
2. E. Kharaiashvili, G. Erkomaishvili, M. Chavleishvili, “Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia“, World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Industrial and Systems Engineering, 2015.
3. E. Kharaiashvili, The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14), 2018.
4. პი ემ სი კვლევითი ცენტრი, „ატმის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი“, 2016.
5. პი ემ სი კვლევითი ცენტრი, “მანდარინის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი“, 2018
6. პი ემ სი კვლევითი ცენტრი, „ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი“, 2018.
7. ISET - ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, <http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2018-05-15-13-41-57>
8. ევროპის კომისია, http://ec.europa.eu/competition/consumers/why_en.html
9. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018.
10. სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018.
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018.
13. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018.
14. <https://www.ippmedia.com/en/features/importance-agricultural-sector-country%E2%80%99s-economic-development>

Mariam Saghareishvili
PHD STUDENT

**COMPETITION ON GEORGIAN AGRICULTURAL MARKET AND CHALLENGES
IN AGRICULTURAL PRODUCTION**
Expanded Summary

Agriculture has an important role³⁰ in development of the countries with transitional economies, such as Georgia. Notably, since 2012, Georgian government has recognized agricultural sector as one of their priorities³¹. Therefore, number of programs and projects are being implemented to support the sector by Agricultural Project's Management Agency of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia³². The paper discusses competitiveness of Georgian agricultural products and tackles the main challenges hindering its increase. In 2017, compared to the previous year, the share of agricultural sector in country's total GDP declined by 0.8-percentage point and amounted to 8.2% (Geostat, 2018). In addition, in 2017 there was a negative real growth (-4.1%). The volume of agricultural production is increasing with moderate growth rate (2% increase in 2017, compared to 2016). However, the budget of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia increased and amounted to GEL 322 million, which is almost 4-times³³ higher, compared to its budget of 2011.

According to Geostat, 43% of employed people are operating in this sector. This number amounts to 735 thousand person, from which 98%³⁴ are self-employed. Number of employed in business sector exceeds 12 thousand people. Productivity in the sector is not high. In 2017, on average, GEL 5329 was produced per worker (on average, GEL 444 per month), while in business sector, GEL 10920 – per person (GEL 909 per month).

In order to achieve agricultural development, it is important to create and develop competition on agricultural markets. Competition on agricultural markets are beneficial³⁵ for both, consumers and producer, for the following reasons:

- It allows consumers to buy agricultural goods in relatively low prices. Competition results into lower prices, meaning that more people can afford and have access to specific agricultural products;
- Consumers are able to consume goods and services of higher quality. Firms try to improve the quality of goods and services in order to maintain competitiveness on the market;
- Consumers have wider and more diverse choice;
- Firms innovate to increase productivity;
- Firms become competitive on international markets as well as domestic ones.

Research of Georgian agricultural sector reveals low competitiveness of Georgian agricultural products on domestic and international markets. For instance, competitiveness of Georgian vegetables is hindered by international standards and requirements, which are not fulfilled by Georgian producers currently. In addition, the volume of vegetables produced in the country is relatively low, compared to the demand on vegetables in international markets (E. Kharaishvili, B. Gechbaia, G. Mamaladze, 2018).

³⁰ <https://www.ippmedia.com/en/features/importance-agricultural-sector-country%E2%80%99s-economic-development>

³¹ Strategy for agricultural development in Georgia 2015-2020.

³² Agricultural Project's Management Agency, 2018.

³³ Ministry of Finance of Georgia, 2018.

³⁴ Strategy for agricultural development in Georgia 2015-2020.

³⁵ http://ec.europa.eu/competition/consumers/why_en.html

Another factor that is hindering agricultural development in the country is the level of value chain developments in the sector. Research in this field³⁶ reveals lack of storage and processing enterprises, meaning that mainly primary goods are supplied to domestic and international markets with relatively low value compared to the processed goods. Therefore, high value added is not generated in the country due to production of primary goods.

Another important issue is access to finance for small and medium sized enterprises (SME). It hinders SMEs' competitiveness on domestic and international markets (E. Kharashvili, 2018). Land fragmentation and land registration are also problematic issues³⁷ in the field. Land fragmentations hinders expansion of enterprises and their production. Land registration is one of the sensitive issues in context of access to finance, because land has low value for banks as a collateral.

For the countries with small economies, such as Georgia, it is difficult to produce large amount of agricultural goods and be competitive against the countries with big economies, such as Turkey. Therefore, it is important to develop niche products and become competitive in this direction.

Georgia is limited in land, therefore, cooperation is the best decision to unite resources and to increase the volume of production, which will result into increased supply on domestic and international markets. This will increase competitiveness of Georgian agricultural products.

Introduction of international standards and requirements on domestic market will contribute development of the sector. It will improve the quality of goods and services and will make Georgian products more attractive for Georgian and foreign consumers. In addition, Georgian products of high quality will become accessible for Georgian consumers.

Introduction of new technologies and machinery is a way of increasing productivity. New technologies require financing; however, it increases competitiveness and gives an opportunity to producers to increase their profit.

Georgia has already signed free trade agreements with many partner countries. Such agreements are an opportunity to develop agricultural sector and increase its competitiveness. Free trade agreements promote competition on domestic markets and make international markets more accessible for Georgian producers. Through free trade agreements, there is a flow of international experience, innovations and knowledge about new technologies in the country and the main result is increased quality and competitiveness of Georgian agricultural products on domestic and international markets.

³⁶ Peach, mandarin, raspberry value chain analyses, PMC Research Center, 2018.

³⁷ <https://waset.org/publications/10002878/problems-faced-by-the-agricultural-sector-and-agribusiness-development-strategy-in-georgia>

ტარიელ ლომია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**მუნიციპალური ნარჩენების შემპროვებისა და მართვის სისტემის
პრეპროექტი**

რეზიუმე: დღევანდელი გარემო პირობების გამოძვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია: წარმოებისას იზარაზება ნედლეული და ენერჯია, წარმოიქმნება ნარჩენები, ნარჩენი პროდუქტები წამლავენ წყალს, ჰაერს და ნიადაგს, თანამედროვე სოფლის მეურნეობა იყენებს უზარმაზარ მიწის ფართობებს, მიწის განოეიერებისთვის და მცენარეთა დასაცავად გამოყენებული ქიმიური საშუალებები წამლავენ ნიადაგს და წყალს, მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა იწვევს არა მარტო შიმშილს და სიღარიბეს, არამედ გარემოს განადგურებას, რადგან მეტ ადამიანს მეტი საცხოვრებელი სივრცე და საკები სჭირდება. ამავ დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობა გაცილებით მეტად აზიანებს გარემოს, ვიდრე ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა, გარემოს დაზიანება, ეკოლოგიური წონასწორობა, სანიტარული კრიზისი, ნარჩენების მართვის სისტემა.

შესავალი

საზოგადოების განვითარებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა ნარჩენების გამოყოფა ბუნებრივ გარემოში, რამაც XXI საუკუნეში მზარდი ხასიათი მიიღო და მნიშვნელოვნად გაამწვავა ადამიანსა და ბუნებას შორის წარმოქმნილი პრობლემები. ნარჩენები შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და ა.შ. მათ რიცხვს განეკუთვნება პლასტმასი, მეტალი, ქაღალდი, ლითონი და ყველა იმ ტიპის ნივთიერება, რომელსაც ადამიანი დროთა განმავლობაში მოიხმარს სახლებსა თუ სამუშაო გარემოში. თვისებების მიხედვით გამოყოფენ მუნიციპალურ, სახიფათო, ინერტულ და თხევად ნარჩენებს. განსაკუთრებით სარისკოა სახიფათო ნარჩენები, რომელიც პოტენციურად რისკის ქვეშ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს უსაფრთხოებას. იგი ხასიათდება მომწამვლელი, აალებადი, ეკოტოქსიკური და სხვა მსგავსი თვისებებით.

გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოს არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვა და გარემოზე პოზიტიური ზემოქმედება.

გარემოს დაზიანების პირველსაწყისები უძველეს წარსულში უნდა ვეძებოთ, ჯერ კიდევ 10 000 წელზე მეტი ხნის წინათ, როდესაც ადამიანებმა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა დაიწყეს.

ანტიკურ პერიოდში საწვავი და გამომშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალების მოსაპოვებლად ხმელთაშუა ზღვის აუზში მრავალი მთის ფერდობზე გაიხეხა ტყე და ამის შედეგად გამოწვეული გახრიოკებული ლანდშაფტების ნახვა დღესაც შეიძლება, მაგრამ იმ დროს ეს ადრეული გარემოს დაზიანებები ძირითადად რეგიონულად იყო შემოსაზღვრული, დღეს არსებობს საფრთხე მსოფლიო მასშტაბით ნგრევისა და ამით ასევე ადამიანის სასიცოცხლო საფუძვლების განადგურებისა. ასეთი გლობალური გაკლენის მაგალითებია: სათბურის ეფექტი, ოზონის შრის დაზიანება (ოზონის ხვრელი, ოზონის ფენა, კლიმატი), ჯუნგლების განადგურება, მსოფლიო ოკეანის დაბინძურება.

გარემოს დაზიანების ნაციონალური და რეგიონული შედეგების მაგალითები: ცხოველთა და მცენარეთა სახეობების გადაშენება, ნიადაგის მოწამვლა, ნიადაგის ეროზია, ნაგვის (ნარჩენების) მთები, ჰაერში მომწამვლელი ნივთიერებების შემცველობის ზრდა, მძიმე მეტალებითა და პესტიციდებით დაზინძურებული საკვები, ხმაური და ა.შ.

გარემოს დაზინძურებას ადგილი აქვს არამარტო ინდუსტრიული წარმოებისას, არამედ აგრეთვე გარემოს საყოფაცხოვრებო პირობებში ენერჯის გამოყენებით, გათბობის მოწყობილობათა გამონახობლებით, ისევე როგორც ნაგვითა და ქიმიური ნივთიერებებით (მაგალითად, სარეცხი და საწმენდი საშუალებები) და სასმელი წყლის არამომჭირნედ გამოყენებით.

ერთ-ერთ ყველაზე ძნელად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს წყლის და ჰაერის დაზინძურებისგან დაცვა, ენერჯის და ფართობის გადამეტებული გამოყენება, ისევე, როგორც ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის პრობლემა [4].

საუკუნეების მანძილზე მიმდინარე არარაციონალური ბუნებათსარგებლობა ცვლის ბუნებრივი რესურსების მთელ კომპლექსს, იწვევს ბუნებრივი რესურსების დაშრეტას, გარემოს გატუტყუიანებას და ბუნებრივი სისტემის ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას. გარემოს დეგრადაცია შესაძლებელია გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით - ტყეების განადგურება, გაუდაბნობა, გარემოს დაზინძურება, სახეობათა გადაშენება. ყველაზე მეტად გარემოს დეგრადაციით გამოწვეულმა პრობლემებმა თავი იჩინა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, განსაკუთრებით XX საუკუნის 50-70-იან წლებში.

1952-56 წლებში ფაბრიკა-ქარხნების გამონახობლებების შედეგად წარმოქმნილმა ლონდონის „შხამიანმა სმოგმა“ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. იგივე პრობლემამ თავი იჩინა ლოს-ანჯელესში, ჩიკაგოსა და ტოკიოში.

1945-62 წლებში აშშ-ში გამოიცა რაჩელ კარსონის წიგნი „ნაკლები გაზაფხული“, სადაც დეტალურად აღწერილი და დასაბუთებულია 1945 წლიდან მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პესტიციდის - შხამქიმიკატ „დდტ“-ის (იგივე რაც „დუსტი“) გამოყენების საშინელი შედეგები: მთელი სახეობების გაქრობა, გენეტიკური ცვლილებები და სიმსივნური დაავადებები ადამიანებში და სხვა. წიგნის დიდი რეზონანსი მოჰყვა არა მარტო ამერიკაში. მსხვილი ბიზნესის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამერიკის მთავრობა საბოლოოდ იძულებული გახდა დდტ-ის მოხმარება აეკრძალა.

1956 წელს „მინამატას დაავადება“ გამოვლინდა იაპონიის ქალაქ მინატამას მიმდებარე სოფლების მაცხოვრებელთა შორის, მოწამვლა გამოიწვია „ნიპონ-ჩისოს“ ქიმიური ქარხნიდან მდინარეში მოხვედრილმა ვერცხლისწყალმა.

1968 წელს დაავადება „იტაი-იტაი“ (რაც ქართულად „ვაი-ვაი“-ს ნიშნავს) კი გარემოს კადმიუმით დაზინძურების შედეგი იყო. ტყვისა და თუთიის მომპოვებელი საწარმოებიდან კადმიუმი მდინარეში, შემდეგ კი ბრინჯის ყანების სარწყავად გამოყენებულ წყალში ხვდებოდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში, საზოგადოების მზარდი აღშფოთების ფონზე, გარემოს დაცვა თანდათან ქვეყნის მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. 1954-56 წლებში იკრძალება „შავი ბოლის წარმომქმნელი“ საწვავის წვა ლონდონში. 1955 წელს აშშ-ში ძალაში შედის ჰაერის დაზინძურების მაკონტროლებელი აქტი, 1970 წელს გარემოს დაცვის აქტი და იქმნება გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო, ხოლო 1971 წელს იაპონიაში გარემოს დაცვის სამინისტრო. 1972 წლის ივნისში სტოკჰოლმში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე „ადამიანი გარემოს შესახებ“ ხელმოწერილ ცნობილ დეკლარაციაში გაცხადებულია, რომ გარემო ადამიანის კეთილდღეობის, ასევე ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. მსოფლიოში ნებისმიერი ადამიანი და ყველა ქვეყნის

მთავრობა ვალდებულია იზრუნოს გარემოზე. გარემოს დეგრადაციის შედეგად ვლდებულობთ გარემოსდაცვით პრობლემებს, რომელთა გადაჭრა გონივრული გარემოსდაცვითი ღონისძიებებითაა შესაძლებელი.

გარემოს დაცვა - წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების (ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, საგანმანათლებლო, საერთაშორისო) სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას.

გარემოს დაცვის ძირითადი მიზნებია:

- გარემოს ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება (და ამით ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა);

- ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება [თურქაძე, 2016: 51-54].

„მუნიციპალურ ნარჩენებს“ სხვადასხვაგვარად განმარტავენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ნარჩენების მართვის ევროპულ სტანდარტზე დაყრდნობით, მუნიციპალური ნარჩენები განიხილება, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც ასევე მოიცავს კომერციულ, საოფისე და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნებულ ნარჩენებს. წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები გროვდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და რეგულირდება ნარჩენების მართვის საყოველთაო სისტემით. ევროკავშირის ნაგავსაყრელთა დირექტივებში მუნიციპალური ნარჩენები განიხილება, როგორც „საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ისევე როგორც სხვა სახის ნარჩენები, რომლებიც მისივე ბუნებითა და შემადგენლობით მსგავსია საყოფაცხოვრებო ნარჩენების“ [Eurostat, 2012]. ტიპური მუნიციპალური ნარჩენების რიცხვს განეკუთვნება საკვები და სამზარეულოს ნარჩენები, მწვანე ნარჩენები, მინა, ქაღალდი, პლასტმასი და სხვა გადამუშავებადი მასალა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) მუნიციპალურ ნარჩენებს განმარტავს, როგორც ნარჩენების სახეობას, რომლებიც გროვდება და მუშავდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ამა თუ იმ კონკრეტულ უბანზე, OECD-ის მიხედვით, მუნიციპალური ნარჩენების რიცხვში შედის საოჯახო თუ სხვადასხვა საოფისე დაწესებულებაში, ეზოში, ბაღსა თუ ქუჩაში განთავსებული ნარჩენები. [OECD, 2013] მუნიციპალური ნარჩენების მართვა როტინისა და მისი თანამოაზრეების მიერ განიმარტება, როგორც მსოფლიო მასშტაბით აღიარებული გლობალური სტრატეგია, რომლის მიზანია ნარჩენების პროდუქტიული თავმოყრა, რეციკლირება და ხელახალი გადამუშავება მიმართული გარემოსდაცვითი ხარისხის გაუმჯობესების, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისაკენ [Rotichl, 2006: 92-100].

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის“ შესახებ თავი I, მუხლი 3 ნარჩენებს განმარტავს, როგორც ნებისმიერ ნივთიერებას ან ნივთს, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს (საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი, 898) [2]. ხოლო, საქართველოს კანონი თვით მუნიციპალურ ნარჩენებს განმარტავს, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, ასევე სხვა სახის ნარჩენებს, რაც თავისი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში კი მუნიციპალური ნარჩენების რიცხვს მიეკუთვნება ყოველდღიური მოხმარების ნივთები, მოშორებული მოსახლეობის მიერ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნარჩენები ყოველთვის არსებობდა ბუნებაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ცნობილია, რომ ბუნებაში ერთი ორგანიზმის მიერ წარმოქმნილი ნარჩენი მეორე ორგანიზმისთვის საკვებს და მაშასადამე, ძირითად მაცოცხლებელ ძალას წარმოადგენს. ბუნებაში წარმოქმნილი ნარჩენები

შედგება ორგანული მასალისგან და ხასიათდება ე.წ. „ეკოლოგიური ჰარმონიით“. მაგალითად, მიკროორგანიზმები და ჭიკვლეები მკვდარ ცხოველებსა და ფოთლებს გარდაქმნიან ე.წ. ჰუმუსებად, რომელიც თავის მხრივ მცენარეთა საკვებია. გასაკვირი არ არის, თუ რატომ მიიჩნევენ მკვლევართა ერთი ნაწილი (მაკდონოუ, ბრონგარტი და ზაკი), რომ ჩვენს ეკოსისტემას აქვს უნიკალური თვისება – გამოუსადეგარი მასალა გადააქციოს უაღრესად გამოსადეგ პროდუქტად, ასე მაგალითად, ხეებიდან დაცვენილი ფოთლები, ლპობის შედეგად გარდაიქმნებიან ნეშომპალად, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნიადაგის განოციერებისთვის. [Braungart, 2007: 1337-1348]. სწორედ მკვებავი ნივთიერებებით გამდიდრებული ნიადაგი უზრუნველყოფს უკეთესი ბუნებრივი გარემოს შექმნას, მცენარეთა და ცხოველთა ზრდა-განვითარებისათვის, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ჯანსაღ და მრავალფეროვან ეკოსისტემას ბუნებაში [Szaky, 2014].

ნაგვის შეგროვებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ისტორიკოსთა თქმით, ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა 4000 წლის წინ კრეტის დედაქალაქ კნოსოსში, მიიღეს სპეციალური კანონი, რომელიც ბერძენ მოსახლეობას ავალდებულებდა ნაგავი დედაქალაქიდან 1 მილზე მეტ მანძილზე დაშორებულ სპეციალურად გამოყოფილ სანაგვე ტერიტორიაზე გაეტანათ. დაახლოებით 1000 წლის შემდეგ კი ნარჩენებისგან ამოღებული და ხელახლა გამოყენებული იქნა ბრინჯაო. ძველი წელთაღრიცხვით 500 წლისთვის ათენის მთავრობამ პირველი ნაგავსაყრელი ქალაქის ცენტრიდან 1 მილის მოშორებით განათავსა. თანდათანობით ნარჩენების რაციონალური გამოყენების გზები მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ვინაიდან ბოსტნეულის ნარჩენებს მკვიდრი მოსახლეობა ცხოველების საკვებად იყენებდა, ხოლო მწვანე ნარჩენებს სასუქად [3].

შუა საუკუნეების ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ დემოგრაფიულმა განვითარებამ უმძიმესი მდგომარეობა შექმნა ევროპის კონტინენტზე. ქალაქებისა და სოფლების მიმდებარე ტერიტორიები ნაგვით აივსო [Louis a, 2004: 306-322].

ცნობილია, რომ პარიზში, მაგალითად, ნარჩენების გროვამ თვით გალაგნების სიმაღლეს გადააჭარბა. შავი ჭირის ეპიდემიამ კი, რომელიც ანტისანიტარულმა პირობებმა გამოიწვია, 140 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ევროპაში სპეციალური ორგანოების შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ქუჩებში სისუფთავის უზრუნველყოფისათვის. მათვე დაეკისრათ პასუხისმგებლობა სასმელი წყლის სისუფთავეზე და შემოიღეს ჯარიმის პირველი ფორმებიც.

ე.წ. „დიდი დაბრკოლება“ იყო ცნობილი ინციდენტი, რომელიც გამოიწვია ნარჩენების მართვის გაუმართავემა სისტემამ ინგლისში XIX საუკუნის დასაწყისში. ლონდონი გახდა „სანიტარული კრიზისის“ თვითმხილველი მკვეთრად მზარდი მოსახლეობის, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემის, ტერიტორიის უკანონო დანაგვიანებისა და ჰიგიენური ნორმების უგულვებელყოფის გამო. აღნიშნული ფაქტორი მჭიდრო კავშირში იყო სამრეწველო რევოლუციის განვითარებასთან. მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან ხალხი ლონდონში ჩადიოდა სამუშაოს საძებნელად, ქარხნულმა საქმიანობებმა გამოიწვიეს მდინარე ტემზას მიმდებარე ტერიტორიების დანაგვიანება. ქალაქი კი ვერ აკმაყოფილებდა მზარდი მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარულ ნორმებს. ცუდმა სანიტარულმა სიტუაციამ გამოიწვია ქოლერის გავრცელება ლონდონში, რომელმაც 32000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა [Water Aid, 2015].

ლონდონის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაოდენ საფრთხეს უქმნის ნარჩენების მართვის გაუმართავი სისტემა ადამიანის ჯანმრთელობას, განსაკუთრებით კი ქვეყნის ურბანულ ნაწილში, სადაც მოსახლეობა მკვეთრად მზარდია. ზემოთ

სსენებულმა ფაქტმა³⁸ ღრმად ჩააფიქრა საზოგადოება, მიეღო სათანადო ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ კიდევ ერთი მსოფლიო მასშტაბის კრიზისი. ამრიგად, XIX საუკუნის შუა ხანებიდან ძირეული ცვლილებები შეინიშნება ევროპისა თუ ამერიკის წამყვან სახელმწიფოებში პრობლემის პრევენციის გზაზე. პირველი ნაბიჯი აშშ-მა გადადგა, სადაც ქალაქები აქტიურად ჩაებნენ ნარჩენების შეგროვება-გადამუშავების საკითხებში [Strasser, 1999].

აღნიშნული სამსახურის შესრულებისას ადგილობრივი მთავრობა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, როგორცაა, მაგალითად, ნარჩენების შეგროვებისათვის არასაკმარისი ფულადი სახსრები და არაკომპეტენტური დამსაქმებლები, რომლებმაც ვერ შეძლეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ამასთანავე, მოსახლეობის სტაბილურმა ზრდამ XIX საუკუნის მიწურულს ახალი, სხვადასხვა ტიპის ნარჩენების წარმოქმნა გამოიწვია, რომელმაც, თავის მხრივ, გაზარდა მოთხოვნები ერთიანი კომპლექსური მიდგომის ჩამოყალიბებისადმი ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ნარჩენების ხელახალი გადამუშავებისა და მისი რაციონალური გამოყენების შესახებ პირველი დოკუმენტური მასალები იაპონურ წყაროებში მოიპოვება, რომელიც საზოგადოების შემდგომი განვითარების პარალელურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ევროპულმა სახელმწიფოებმა აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება მხოლოდ XVII საუკუნის პირველ სახეგარში გაამახვილეს, სწორედ მას შემდეგ, რაც აშშ-ში პირველმა ქარხანამ დაიწყო ფუნქციონირება, რომელიც ქაღალდისა და ქსოვილების გადამუშავებაზე იყო ორიენტირებული.

ნარჩენების პირველადი დახარისხების იდეა აშშ-ში, კერძოდ ნიუ-იორკში 1895 წელს გაჩნდა, როდესაც ქალაქის ხელმძღვანელობამ მოუწოდა მოსახლეობას გაეცალკეებინათ ლითონი, ქაღალდი, საკვები, სხვადასხვა სახეობის ქსოვილი მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით. ამრიგად, ორი წლის შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება პირველმა ნაგავგადამამუშავებელმა ქარხანამ [Louis b, 2004: 306-322].

დღეს ჩვენ მუნიციპალური ნარჩენების მასიურ მოცულობას ვხვდებით, რომელსაც ხალხი ყოველდღიურად გამოიმუშავებს. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) თანახმად, მსოფლიოში ყოველწლიურად 11.2 მლრდ ტონა მუნიციპალური ნარჩენები გროვდება, რომელთა ორგანული ნაწილების ღპობა მსოფლიო მასშტაბით არსებული სათბურებიდან გამოყოფილი გაზის დაახლოებით 5% შეადგენს, რაც, თავის მხრივ, აჩქარებს კლიმატის ცვლილებებს [UNEP a, 2011]. კლარკი და მათარუ, ამტკიცებენ, რომ თუ პლანეტა ამჟამად 1.3 GT მუნიციპალურ ნარჩენს გამოიმუშავებს, 2025 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლოა 2.2 GT-მდე გაიზარდოს [Clark, 2013: 66-82]. სსენებული ფაქტი მიუთითებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნარჩენების სფეროში არსებული კრიზისის რაციონალურად მოგვარება გარემოსა და ადამიანზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით. ამასთანავე, ნაგავსაყრელთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან. UNEP აკრიტიკებს ნაგავსაყრელების მიმართ გატარებულ პოლიტიკას, რადგანაც სწორედ ნაგავსაყრელი არის ბუნებაში მეთანის წარმოშობის ძირითადი გამომწვევი მიზეზი, ეს უკანასკნელი კი სათბურის გაზების „GHG“ გამოყოფის უდიდესი წყარო, რომელიც გამოწვეულია ორგანული მასალების ანაერობული დეგრადაციით ნაგავსაყრელებსა და გაუკონტროლებელ სანაგვე ტერიტორიებზე [UNEP b, 2011].

³⁸ იგულისხმება ლონდონის კრიზისი.

ამრიგად, ნარჩენების მართვა უშუალოდ უკავშირდება გარემოსდაცვით პრობლემებსა და ადამიანის ჯანრთელობას, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ნარჩენების მართვის ხარისხსა და გადაამუშავების მექანიზმებთან.

მაშასადამე, ყველა განვითარებული ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების მართვის მეთოდების უსაფრთხო და ეფექტიანი ბერკეტების შემუშავება და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების სტრატეგიები. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ნორვეგია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოა. ცნობილია, რომ ნორვეგიაში 1951 წლიდან ნარჩენების რაოდენობა 60%-ით გაიზარდა [World Bank, 2015]. შედეგად, ქვეყანამ შეიმუშავა ნარჩენების გადაამუშავების სტრატეგიული გეგმა, რომელთაგანაც ერთ-ერთ აუცილებელპირობად განიხილებოდა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ქვეყანაში ნარჩენების საერთო რაოდენობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ბალანსის შენარჩუნებაზე. როგორც მითითებულია ნორვეგიის გარემოსდაცვით მოხსენებაში, ქვეყანამ საგრძნობლად გააუმჯობესა ნარჩენების მართვის სტრატეგია, ევროკავშირის კრიტერიუმების მიხედვით [The Research council of Norway, 2014].

მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყანა მუნიციპალური ნარჩენების გადაამუშავების სხვადასხვა მეთოდს იყენებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ ნაწილში, მოსახლეობა მკაცრად აკრიტიკებს ნარჩენების მართვის წვის მეთოდს, რომელსაც ისინი ხსნიან ჰაერის დაბინძურებით. აშშ-ის ჩრდილო ნაწილში, რომელიც მოსახლეობის მზარდი სიმჭიდროვით გამოირჩევა, ნარჩენების მხოლოდ 40% გადაამუშავდება წვის შედეგად. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში: შვედეთი, დანია და შვეიცარიაში ნარჩენების დიდი რაოდენობა გადაამუშავდება სწორედ მათი წვის შედეგად. აღნიშნულის საპირისპიროდ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, როგორცაა, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და ირლანდია, ნარჩენების უმეტესობა ნაგავსაყრელებზე ხვდება მათი შემდგომი რეციკლირების მიზნით.

დასკვნა

დღეისათვის ევროპულ სახელმწიფოებში ნარჩენების მართვა-დახარისხება, ხოლო შემდგომში მისი რაციონალური გამოყენება საკმაოდ მაღალ დონეზეა აყვანილი. მაგალითად, შვედეთსა და ნორვეგიაში ნაგავსაყრელების შემცირების მიზნით, ნარჩენებს ჯერ წვავენ, ხოლო წვის შედეგად მიღებული ელექტროენერგიით ქალაქის მოსახლეობას გათბობით უზრუნველყოფენ. თანამედროვე მსოფლიოში ნარჩენების დახარისხების მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ნარჩენების მეორადი გადაამუშავება და იმ ტერიტორიების შემცირება, რომლებიც მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების განსათავსებლად არის გამოყოფილი.

ნარჩენებთან დაკავშირებულ პრობლემას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა საშუალებით ებრძვიან. აგებენ ნაგავგადამამუშავებელ ქარხნებს, იყენებენ ნარჩენებს სასაბურთე მეურნეობაში. ბევრ ევროპულ ქვეყანაში კი დაწესებულია ჯარიმები იმ პირთა მიმართ, რომლებიც გარემოს აბინძურებენ განურჩევლად იმისა, თუ რა რაოდენობით ანაგვიანებს კონკრეტული პიროვნება გარემოს.

ნარჩენები ერთგვარი რესურსია, რომელსაც ადამიანები თავიანთ საკეთილდღეოდ იყენებენ. სწორედ ნარჩენების გადაამუშავებით არის შესაძლებელი გაზისა და ელექტროენერგიის მოპოვება. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, თუ როგორ გამოვიყენოთ ერთი შეხედვით გამოუსადეგარი ნივთები ჩვენ სასარგებლოდ. ნარჩენების გადაამუშავება უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა-განვითარების საკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თურქაძე თ., 2016, სახელმძღვანელო გარემოს დაცვის ტექნიკოსისათვის, თბილისი, გვ. 51-54.
2. ხელმისაწვდომია - საქართველოს კანონი, ნარჩენების მართვის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416>.
3. ხელმისაწვდომია - Ancient and medieval solid waste disposal: <https://sustainingourworld.com/2011/09/22/the-past-present-and-future-of-solid-waste-disposal/>
4. ხელმისაწვდომია - <https://ru.wikipedia.org/wiki/>
5. Eurostat, 2012, Reference Metadata in Euro SDMX Metadata Structure (ESMS). http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_SDDS/EN/env_wasmun_esms.htm. Accessed 11 Jan 2013
6. OECD, 2013, <http://www.grida.no/publications/vg/waste/page/2853.aspx> 2013-04-10
7. Rotich, K. H. et al., 2006, Municipal solid waste management challenges in developing countries – Kenyan case study Waste Management, Volume 26, Issue 1, 2006, pp. 92–100
8. Braungart, M., McDonough, W. and Bollinger, A., 2007, Cradle-to-cradle design: creating healthy emissions—a strategy for eco-effective product and system design. Journal of cleaner production, 15(13-14), pp.1337-1348.
9. Szaky, T., 2014, Outsmart waste: The modern idea of garbage and how to think our way out of it. Berrett-Koehler Publishers.
10. Louis, G.E., 2004, A historical context of municipal solid waste management in the United States. Waste management & research, 22(4), pp.306-322.
11. Water Aid, 2015, ‘Another great stink report.’ URL: http://www.wateraid.org/~media/Publications/Another_Great_Stink_report.pdf Retrieved: March 21, 2016.
12. Strasser, S., 1999, Waste and want: a social history of trash. New York: Metropolitan Books.
13. UNEP, 2011, ‘Waste: Investing in energy and resource efficiency’. http://web.unep.org/greeneconomy/sites/unep.org/greeneconomy/files/publications/ger/ger_final_dec_2011/8.0-WAS-Waste.pdf Retrieved: 30.May, 2016.
14. Clark, J., and Matharu, A., 2013, ‘Waste to Wealth using Green Chemistry’, in Waste as Resource, edited Hester, R and Harrison, R. Cambridge: RSC Publishing. pp. 66-82.
15. The Research Council of Norway, 2014, ‘Ny satsing på miljøforskning’, Retrieved March 21, 2016.
16. World Bank, 2015, ‘Data: Norway’, http://data.worldbank.org/country/norway#cp_fin , Retrieved: October 25.

Tariel Lomia

PHD student Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE PREHISTORY OF THE MUNICIPAL WASTE COLLECTION AND MANAGEMENT SYSTEM

Expanded Summary

Keywords: *environmental protection, environmental damage, ecological validity, sanitation crisis, waste management system.*

With the development of the society, the waste generation in the natural environment has significantly increased. In the 21st century waste generation has become

even more common, which on the other hand considerably aggravated the problems between human being and nature. Waste can be categorized into household, construction, medical, agricultural, industrial, etc. Plastic, metal, paper and all kinds of substances used by people at home or in the working environment over time are considered as waste. Considering their characteristics, they separate municipal, hazardous, inert and liquid waste. Hazardous waste is particularly risky and potentially dangerous for human health and environmental safety, which has poisonous, flammable, ecotoxic and other destructive features.

There are different reasons for the current environmental conditions: production is spent on raw materials and energy; large amount of waste is generated that pollutes water, air and the ground. The modern agriculture uses large land areas, and chemicals used for soil fertility, poisoning water and land. In addition to that, rapid growth of the population leads not only to hunger and poverty, but also it causes environmental destruction, since, the more population is the more living space and food is needed for humans. At the same time, it should be noted, that the population of highly developed industrialized countries gives more damages to the environment than less developed countries.

Environmental pollution occurs not only in industrial production, but also by using the energy in our daily lives, by heating system emissions, as well as garbage and chemical substances (for instance, products used for cleaning and washing) and excessive use of drinking water.

Today in many European states, waste management, its distribution and rational is quite developed. For instance, in Sweden and Norway, the waste is being reduced by incineration, whilst the electricity that is generated from the incineration, is used for heating by the population. In the modern world, the waste management system aims at rationally using the natural resources, recycling the waste and reducing of those areas that are allocated for disposal of municipal waste.

European cities have different approaches to solve the waste-related issues. They build waste factories, use waste in greenhouses etc. In many European countries, strict penalties are being imposed on those polluting the environment, regardless of the amount of damage.

Waste is a resource that people use for their benefit in the long run. Waste recycling makes it possible to get gas and electricity. The society should realize how to use “unusable” items in their favor. Waste recycling plays a major role in the economic and sustainable development of the country.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტი” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**